ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

თამარ დავითაძე

მოსწავლეებში გონებრივი განვითარების დარღვევები და სწავლების სტრატეგიები

დაწყებითი განათლება

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

მეცნიერ-ხელმძღვანელი, პროფესორი

აკაკი ზოიძე

ხიჭაური

2021

ანოტაცია

საბაკალავრო ნაშრომი „მოსწავლეებში გონებრივი განვითარების დარღვევები და სწავლების სტრატეგიები“ - ეხება ისეთ მნიშვნელოვან საკითხს , როგორიცაა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლება, მასწავლებლისა და სსსმ მოსწავლის ურთიერთობა, შშმ მოსწავლის კლასთან ადაპტაცია, კლასში ჩართულობა, ქცევის მართვა და სწავლება/სწავლის სტრატეგიების გამოყენება.

ბავშვის უფლებების კონვენციის თანახმად, განათლების მიღება ყველა ბავშვის ფუნდამენტური უფლებაა. კონვენციაში გამოკვეთილი თითოეული უფლება ეხება ყველა ბავშვს, ყოველგვარი დისკრიმინაც1იული გამონაკლისის გარეშე. ბავშვის უფლებათა ამგვარ ფართო აღიარებას მხოლოდ თეორიული საფუძველი არ გააჩნია. მსოფლიოს თითოეულ ქვეყანაში ბავშვის უფლებები განმტკიცებულია კონკრეტული ღონისძიებებით საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და აღმასრულებელ სფეროებში.

XX საუკუნეში მომხდარმა სოციალურმა და ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა შესახებ ახალი კონცეფციის ჩამოყალიბებას. მე-20 საუკუნის მეორე ნახევარი ხასიათდება მსოფლიოში დიდი სოციალური რეფორმების დასაწყისით. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება საზოგადოების მხრიდან შეზღუდული შესაძლებლობების პირთა მიმართ მეტი მიმღებლობის და ტოლერანტობის ჩამოყალიბება. საზოგადოება მათი სპეციფიკისა და პრობლემატიკის შესახებ მეტად ინფორმირებული გახდა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მასწავლებლის მიერ ბავშვის ნორმალური განვითარების კანონზომიერების, ნორმიდან გადახრის თავისებურებებისა და მათი დამხმარე სტრატეგიების ცოდნა, მასწავლებლებს, მშობლებს და პროფესიონალებს შორის ინტენსიური თანამშრომლობა და სასწავლო პროცესის დეტალური დაგეგმვა. სწორედ „ ინკლუზიური განათლება“ უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის, მთელი მათი მრავალფეროვნებით, ინდივიდუალური თავისებურებებით და საჭიროებებით სასწავლო პროცესში ჩართვას. ინკლუზიური განათლება პირდაპირი გზაა როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის თვითრეალიზაციისა და საზოგადოებასთან ინტეგრაციისაკენ, ისე თვით საზოგადოების ჰარმონიზაციისაკენ.

Annotation

Bachelor is thesis "children with mental disorders and learning strategies" - refers to the important issues, such as the special educational needs of students with education, the teacher and the with a special educational need pupil relationship, With a special educational needupils in class adaptation, class involvement, behavior management and teaching / learning strategies to Sought.

According to the Convention on the Rights of the Child, education is the fundamental right of all children. Each of the rights in the Convention applies to all children without any discriminatory exception. This broad recognition of child rights does not have a theoretical basis. In every country of the world, child rights are strengthened in specific legislative, administrative and executive areas.

The social and technological changes that took place in the XX century have significantly contributed to the establishment of a new concept on people with limited access. The second half of the 20th century is characterized by the beginning of the great social reforms in the world. From that time onwards, the society is beginning to develop more tolerance and tolerance towards persons with disabilities. The society became more informed about their specificity and problems.

It is especially important for the teacher to learn the nature of normal development of the child, the peculiarity of the deviations from the norm and their support strategies, intensive cooperation between teachers, parents and professionals and detailed planning of the study process. The "inclusive education" provides all students, all their diversity, individual peculiarities and inclusion in the process of learning. Inclusive education is a direct way for the self-realization and integration of people with disabilities, as well as to harmonize society.

Inclusive education does not mean being in a classroom with a special education needs and having time with peers. Inclusive education requires the whole school's hard work to strengthen and develop the possibilities of a student with special educational needs, improve the academic and social skills of the learner, prepare the pupil for an independent life and actively promote the student's community as a full member s.

The course and strategy of the modern inclusive school is based on the full participation of students and students in the school of specially educated pupils, which is one of the most important innovations in their development. The child's cognitive functions are only available in active interaction and the perfection of this process is not the easiest challenge of modern massage. Involvement of the student, participation in classroom activities, cognitive and academic functions and development are the objectives of which the school should be trained by the teachers' teachers and the help of special teachers.

გეგმა

თავი 1. ინკლუზიური განათლების რაობა;

§ 1. ვინ არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები;

§ 2. საქართველო და ინკლუზიური განათლება;

§ 3. ინკლუზიური სწავლების მოდელები.

თავი 2. გონებრივი განვითარების დარღვევები და სწავლების სტრატეგიები;

§ 1. გონებრივი განვითარების დარღვევების მქონე მოსწავლეების იდენტიფიკაცია;

§ 2. ინკლუზიური განათლების ხელშემწყობი გარემო;

§ 3. ინკლუზიური განათლების პროცესის დამხმარე საშუალებები;

§ 4. გონებრივი განვითარების დარღვევის მქონე მოსწავლეების სწავლების სტრატეგიები;

§ 5. ოჯახის, სკოლის და საზოგადოების როლი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების სწავლების პროცესში;

თავი 3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

§ 1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელების ეტაპები;

§ 2. სავარჯიშოები მოსწავლის აკადემიური და სოციალური უნარების განვითარებისათვის.

თავი 4. აჭარის საჯარო სკოლებში ჩატარებული კვლევის შედეგები.

შესავალი

ადამიანი ღვთის უნიკალური ქმნილებაა, სამყაროს გვირგვინი, სიყვარულის, შემეცნების, გამრავლების, აზროვნების, მეტყველების, შენების, კეთების უნარით დაჯილდოებული. მას აქვს კანონიერი უფლება იყოს საზოგადოების სრულფასოვანი, ღირსეული წევრი, ჰქონდეს თავისუფალი, მშვიდობიანი, უსაფრთხო და ბედნიერი ცხოვრება. გააჩნდეს არჩევანის უფლება, რისთვისაც მას ჭირდება ზოგადი და პროფესიული განათლება, კომუნიკაციური და შრომითი უნარ-ჩვევები, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო ყველას არ აქვს საჭირო ინტელექტუალური და ფიზიკური შესაძლებლობები. ბავშვებს რომლებსაც შეზღუდული აქვთ სწავლის უნარი, მეგობრებისგან განსხვავებით სჭირდებათ სპეციალური საგანმანათლებლო დახმარება. პირველ რიგში მრავალკვალიფიციური, გამოცდილი მასწავლებელი, რომელიც დაუფლებულია ინკლუზიურ კლასში მუშაობის თეორიულ და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. აკმაყოფილებს მასწავლებლის დადგენილ სტანდარტებს.

დღეს საქართველოში განათლების პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ინკლუზიური განათლება. ინკლუზიური განათლება პედაგოგიკური მეცნიერებათა სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სპეციალური დარგია, რომელიც სწავლობს შემეცნების, გონებრივ და ფიზიკურ შესაძებლობას შეზღუდულ და შეუზღუდავ ბავშვებთან ერთად , თანაბარ მდგომარეობაში, სწავლა განათლებისა და აღზრდის სპეციფიკას, მათ განვითარებასა და სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბების კანონზომიერებებს, პედაგოგიურ პრინციპებს, მეთოდებს, ფორმებს და საკორექციო საშუალებებს. ის პედაგოგიკის მეცნიერების, ფსიქოლოგიისა და სამედიცინო დასკვნების საფუძველზე დაყრდნობით სწავლობს უნარშეზღუდულობის ტიპებს, სახეებს, გამომწვევ ფაქტორებს და მიზეზებს.

სამწუხაროდ მასწავლებლის მოსამზადებელი პროგრამები 2009 წლამდე არ ითვალისწინებდა ინკლუზიური მიდგომების პრინციპების სწავლებას. ჯერ კიდევ არ არსებობს ქართულ სინამდვილეში დანერგილი გამოცდილი ინკლუზიური განათლების მოდელები, მწირია ინფორმაცია მულტიდისციპლინურ გუნდში მშობლებთან თანამშრომლობის სპეციალისტებისა და ერთობლივი მუშაობის გამოცდილება, ამიტომ ამის დანერგვას სკოლაში საფუძვლიანი მომზადება სჭირდება, რაც გულისხმობს კონკრეტული სკოლის სპეციფიკას და გარემოს გათვალისწინებას, სკოლის ადმინისტრაციის, მასწავლებლის, ტექნიკური პერსონალის, ჯანმრთელი ბავშვების, პრობლემური და ჯანმრთელი ბავშვების მშობლების , სკოლის დამხმარე სპეციალისტების გათვითცნობიერებას და ჩართვას პროცესში.

ნაშრომის მიზანი: 1. წარმოაჩინოს მასწავლებლის როლი გონებრივი განვითარების დარღვევის მქონე მოსწავლეების სწავლებაში;

2. სწავლება/სწავლის სტრატეგიების ძიება, მათი როგორც სსსმ მოსწავლეებთან ურთიერთობის ეფექტურობის საწინდარის გააზრება და ანალიზი.

ნაშრომის ამოცანაა: 1. გონებრივი განვითარების დარღვევის მქონე მოსწავლეების იდენტიფიკაცია და საჭიროებების განსაზღვრა;

2. მასწავლებლისათვის ზოგადი პედაგოგიურ განათლებასთან ერთად სპეციალური განათლების აუცილებლობის დასაბუთება.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება. ნაშრომში მასალები წარმოდგენილია კვლევის შედეგების აღწერის, მეთოდების გამოყენებისა და რეკომენდაციების ნიმუშების სახით,რაც ამაღლებს მის პრაქტიკულად გამოყენების შესაძლებლობას.

კვლევის შედეგების პერსპექტიული გამოყენების სფერო: საჯარო და უმაღლესი სკოლის პედაგოგები, მშობლები,განათლების მიმართულების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტები

თავი 1. ინკლუზიური განათლების რაობა

ჩვენ დავიბადეთ თანასწორუფლებიანნი, მაგრამ ერთმანეთისაგან განსხვავებულნი. ჩვენ ვართ ერთი საზოგადოების წევრები, მიუხედავად სქესისა, ფიზიკური თუ გონებრივი შესაძლებლობებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობისა. ვაღიაროთ, რომ ნორმალური საზოგადოება ხასიათდება მრავალფეროვნებით, სირთულეებით და არა იგივეობით. თუმცა რეალურ ცხოვრებაში, სსსმ ბავშვები და მოზრდილები, რომელთაც უმრავლესობისგან განსხვავებული პირობები აქვთ, ამა თუ იმ გაუმართლებელი მიზეზით დიდხანს იყვნენ საზოგადოებისაგან გარიყულნი.

„ინკლუზია'' ინგლისური სიტყვაა, რაც ქართულად „ ჩართვას'' ნიშნავს. ცნება „ინკლუზია'' მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა განათლების უფლების დაცვის კონტექსტში. დღეს ინკლუზია უფრო ფართო მნიშვნელობისაა. ასახავს საზოგადოების დამოკიდებულებას და იმ მიდგომებს, რომელიც ისეთ ჰუმანისტურ ფასეულობებს ეფუძნება, როგორიცაა მიმღებლობა, თანასწორუფლებიანობა და სამართლიანობა, და თანაც, ამის განხორციელების კონკრეტულ მექანიზმებს გვთავაზობს.

ინკლუზიური განათლება არის მხოლოდ ერთი სექტორი პიროვნების ინკლუზიისა საზოგადოებაში, ამდენად ინკლუზიის ცნება უფრო ფართოა და მრავლისმომცველი. ინკლუზიური სწავლების დამკვიდრების საკითხის განხილვა შეუძლებელია საზოგადოებაში მიმდინარე სხვა პროცესებისგან განცალკევებით. განათლების უფლება უპირობოდ უნდა განიხილებოდეს სხვა უფლებებთან კონტექსტში, ამდენად მისი რეალიზაცია დაკავშირებულია პრობლემათა გაცილებით ფართო წრესთან, ვიდრე ეს სკოლისა და მოსწავლის, სასწავლებლისა და სტუდენტის საქმიანი ურთიერთობაა. ამ საქმეში თავისი წილი პასუხისმგებლობა უნდა იკისროს საზოგადოების ყველა წევრმა, მიუხედავად ინვალიდობის პრობლემასთან პროფესიული თუ პირადი შეხების ხარისხისა. ინკლუზია არ გულისხმობს მხოლოდ ბავშვების განაწილებას იმ სკოლებში, სადაც ხორციელდება ინკლუზიური განათლება. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხარისხიანი განათლების მიღებას. სადაც არსებობს მრავალფეროვნება და იგი აღიარებულია როგორც თითეული მოსწავლის

სულიერი გამდიდრების წყაროდ. მოსწავლეებს შორის უნდა არსებობდეს თანადგომის და არა მეტოქეობის პრინციპი.

ინკლუზიური განათლება არ გულისხმობს სპეციალური საგანმანთლებლო მოსწავლის საკლასო ოთახში ყოფნას და თანატოლებთან ერთად დროის გატარებას. ინკლუზიური განათლება მოითხოვს მთლიანად სკოლის დაუღალავ შრომას იმისთვის, რომ გააძლიეროს და განავითაროს სპეციალური საგანმანათლებლო მოსწავლის შესაძლებლობები, გააუმჯობესოს მოსწავლის აკადემიური და სოციალური უნარ-ჩვევები, მოამზადოს მოსწავლე დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის და აქტიურად შეუწყოს ხელი მოსწავლის საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებას. თანამედროვე ინკლუზიური სკოლის კურსი და სტრატეგია ეფუძნება განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სკოლის ცხოვრებასა და აქტივობებში სრულფასოვან მონაწილეობას, რაც მათი განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. ბავშვის კოგნიტური ფუნქციების მოწესრიგება მხოლოდ და მხოლოდ აქტიური ინტერაქციის პროცესშია შესაძლებელი და ამ პროცესის სრულყოფა თანამედროვე მასწავლებლის არცთუ იოლი გამოწვევაა. ინკლუზია მოითხოვს თითეული სკოლის,საზოგადოების, მთელი ერის ძალისხმევას ინკლუზიის პროცესში ინდივიდუალური მიდგომების განსახორციელებლად. ინკლუზიის განხორციელებისათვის საჭიროა ყველა ამ სისტემის ურთიერთქმედების საფუძველზე მუდმივი ევოლუცია და თვითმონიტორინგი, რასაც თავის მხრივ, სჭირდება დრო. ინკლუზიის პროცესი ემყარება სათანადო დამოკიდებულებას, ცოდნას, სისტემის მოქნილობას, შემოქმედებით მიდგომას პრობლემისადმი და გადაწყვეტილებების მიღებაში მასწავლებლის, მშობლის და ბავშვის ერთობლივ მონაწილეობას.

ინკლუზიური სწავლების დანერგვა განათლების სისტემაში სსსმ ბავშვების საჭიროებათა გათვალისწინებით, ეფექტური სასწავლო პროგრამების, სპეციალური მეთოდიკის შემუშავების, პედაგოგთა და ინკლუზიასთან დაკავშირებული სხვა კადრების პროფესიულ მზადყოფნას, და რაც ძალზე მნიშვნელოვანია, საზოგადოებრივი აზრის მომზადებას, ცნობიერების გარდაქმნას, რაც დიდ დროსა და ძალისხმევას მოითხოვს. ინკლუზიური სწავლების დანერგვა უნდა განვიხილოთ, როგორც პროცესი, რომელიც ობიექტურად გაიწელება დროში, მაგრამ იგი ამთავითვე უნდა დაიწყოს და შეძლებისდაგვარად დაჩქარდეს. პროცესის წარმატებას განსაზღვრავს, თუ რამდენად აქტიურად ჩაერთვება მასში სკოლის ყველა მუშაკი, მშობელი, ბავშვი, სახელმწიფო მოხელე, მთელი საზოგადოება, რამდენად ერთსულოვანი იქნება მათი მისწრაფება იმ წინაღობების აღმოფხვრისაკენ, რომელთაც აწყდება სასწავლო პროცესსა და სასკოლო ცხოვრებაში ყველა ბავშვის თანაბარი და ღია მონაწილეობის საკითხი. (1. 33)

როცა ვამბობთ „ყველა ბავშვი'', თავისთავად იგულისხმება განსხვავებული ნიშნის მქონე ბავშვების რაიმე ფორმით ჩართვა სასწავლო პროცესში თანატოლებთან ერთად, ხოლო ამ „განსხვავებულ ბავშვებში'', თავის მხივ, იგულისხმება როგორც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, ისე განსაკუთრებული საგანმანათლებლო

საჭიროების მქონე ბავშვები ანუ ყველა მოსწავლე, მთელი მათი მრავალფეროვნებით, ინდივიდუალური თავისებურებებით და საჭიროებებით. ინკლუზიური განათლების პროცესში ბავშვი უფრო სწრაფად გრძნობს თავისუფლებას და შეერწყმის საზოგადოებას, ხოლო თანატოლების თვალში განსხვავებულობის, ინვალიდობის აბსტრაქტული პრობლემა იძენს მეგობრის, თანაკლასელის კონკრეტულ სახეს და გულგრილს ვეღარ ტოვებს, უვითარებს სხვისი უფლებებისადმი პატივისცემას. ეს ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან პიროვნების იგნორირება, ინდივიდუალიზმის, განსხვავებულობის მიმღებლობის დეფიციტი საფრთხეს უქმნის ჰარმონიას საზოგადოებაში. სტიგმა და ნეგატიური სტერეოტიპები ადეკვატურმა აღქმებმა, სხვათა უფლებებისადმი პატივისცემამ უნდა შეცვალოს.

ინკლუზიური განათლება მოითხოვს სკოლის, პედაგოგების, მშობლების, მულტიდისციპლინური გუნდისა და სხვა მუშაკების დაუღალავ შრომას იმისათვის რათა გაამლიეროს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის აკადემიური, თუ სოციალური უნარ-ჩვევები, მოამზადოს მოსწავლე დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის, დაეხმაროს მას საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებაში.

,,ინკლუზიური განათლების მოდელი ეფუძნება რწმენას, რომ ყველა ბავშვს აქვს უფლება მიიღოს განათლება და მაქსიმალურად გამოავლინოს თავისი პოტენციალი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის აქტივობებში, სკოლაში გამართულ პროცესებში.

ინკლუზიური განათლების მიზანია, ყველა ბავშვს მიეცეს თანაბარი შესაძლებლობა თანატოლებთან ერთად სწავლისა და ხარისხიანი განათლების მიღებისა საცხოვრებელ ადგილთან ახლოს. (1. 9)

§ 1. ვინ არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები;

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის თანახმად „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს განეკუთვნებიან ადამიანები - ხანგრძლივი ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევებით, რაც სხვადასხვა დაბრკოლებებთან ურთიერთქმედებისას შეიძლება ხელს უშლიდეს მათ სრულ, ეფექტურ და თანასწორ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.“

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირისთვის სტატუსის მინიჭება ხანგრძლივი და რთული პროცესია, რომელიც მოსწავლის სამედიცინო დიაგნოზს და ფუნქციონირების დეტალურ ანალიზს მოითხოვს. კვლევა მოითხოვს პროფესიონალების ჩართვას. შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებად ის აღსაზრდელები ითვლებიან, რომელთაც მნიშვნელოვანი სირთულეები ექმნებათ ასაკის შესაბამისი აქტივობების განხორციელებისას და მნიშვნელოვან დახმარებას საჭიროებენ.

როგორც აღინიშნა შეზღუდული შესაძლებლობა არის დაზიანების ან დარღვევის შედეგად გამოწვეული დროებითი ან ქრონიკული შეზღუდვა ფიზიკურ ან ფსიქიკურ

სფეროში. საყურადღებოა, რომ მოსწავლეებს შეიძლება განსხვავებული სახის შეზღუდვები ჰქონდეთ.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე საუბრისას აუცილებლად უნდა გამოვყოთ ბავშვების შემდეგი კატეგორიები:

- **გონებრივი განვითარების დარღვევები;**
- **მეტყველების დარღვევა;**
- **ორთოპედიული დაზიანება;**
- **სიბრმავე/ მხედველობის დაზიანება;**
- **აუტიზმი;**
- **თავის ტვინის ტრამვა;**
- **ემოციური დარღვევები.**
- **ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვა პრობლემები.** (3. 17)

§2. საქართველო და ინკლუზიური განათლება

საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლისა და გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენციის თანახმად, განათლების მიღებისა და განათლების მისაღები ფორმის არჩევა ყველა ბავშვის შეუზღუდავი უფლებაა.

საქართველოში ინკლუზიური განთლების პროცესის დაწყება განაპირობა სალამანკას დეკლარაციამ (1994) და გაეროს ბავშვთა უფლებათა დეკლარაციამ (2006) . დროდადრო იცვლებოდა მიდგომები, საზოგადოებრივი დამოკიდებულება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიმართ დამოკიდებულება. საქართველოს კონსტიტუციის და ბავშვთა უფლებების დეკლარაციის თანახმად, ყველა ბავშვს აქვს განათლების უფლება.

საქართველომ ინკლუზიური განათლების პროცესი სკოლებში 2006 წლიდან დაიწყო. რამდენიმე წელში ინკლუზიური განათლების ქმედითი ნაბიჯები წარმატებით აისახა პრაქტიკაში. 2013 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება ,,შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის" შესახებ.

საქართველოში ინკლუზიური განათლება რეგულირდება ძირითადად სამი კანონით:

- ✓ **,, საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ" ;**
- ✓ **,, საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ" ;**
- ✓ **,, საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ" .**

ერთადერთი კვლევა, რომელიც ჩატარდა ინკლუზიურ განათლებაზე საქართველოში, ეკუთვნის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს ,, ინკლუზიური განათლების მაჩვენებელი საქართველოში" , რის შედეგადაც გაირკვა რომ ინკლუზიურ განათლებას საქართველოში დადებითად აღიქვამდნენ.

საქართველოს ფარგლებში ინკლუზიურ განათლებაში 1000-ზე მეტი სკოლაა ჩართული. ინკლუზიური განათლება სკოლებში სპეციალურად მომზადებულ და გამოცდილ მასწავლებლებს ანდეს.

§ 3. ინკლუზიური სწავლების მოდელები

როგორ ვასწავლოთ განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლეებს? ამ კითხვაზე პასუხი უმნიშვნელოვანესი და საყურადღებოა. მისი წარმატებით განხორციელება დამოკიდებულია იმაზე თუ რომელ მოდელს ვიზიარებთ და როგორია მიდგომა უნარშეზღუდულობისადმი.

სპეციალური განათლების მოდელი საგანმანათლებლო სისტემაა იმ ბავშვებისათვის, ვინც ე.წ ,,ნორმის" საზღვრებში არ არიან. ამ მოდელის მთავარი დანიშნულებაა ისაა რომ შშმ ბავშვებს ესაჭიროებათ სპეციალური გარემო და სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურება ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. ამრიგად მათი სწავლების პროგრამა, გეგმა და მეთოდები განსხვავებულია და კონკრეტულ საჭიროებებზეა მორგებული. ასეთი ბავშვების სწავლება ვერ მოხერხდება ზოგადსაგანმანათლებლო კლასში, მათ სჭირდებათ სპეციალურად მომზადებული მასწავლებელი, რომელსაც სხვადასხვა ტიპის მოსწავლეებთან მუშაობის გამოცდილება აქვს.

არსებობს სწავლების რამდენიმე საშუალება სპეციალური განათლების მოდელის ფარგლებში:

სპეციალური სკოლა

სპეციალურად ორგანიზებული, იზოლირებული სასწავლო გარემო განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების განათლების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი გამოცდილება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებთან მუშაობის. სასწავლო გეგმა, პროგრამა და სწავლების მეთოდები სპეციალურად არის მორგებული მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე და საჭიროებებზე, რაც განსხვავდება ზოგად სასწავლო გეგმისა და სწავლების მეთოდებისაგან.

სპეციალური კლასი

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის განკუთვნილია მცირერიცხოვანი კლასი. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს ასწავლის სპეციალურად მომზადებული პედაგოგი, ბავშვებზე მორგებული სასწავლო გეგმითა და სპეციალური პროგრამებით. მოსწავლეები ნაკლებად ურთიერთობენ სხვა კლასის თანატოლებთან. ამოსავალი წერტილია ის, რომ დეფიციტური უნარების მქონე მოსწავლეები ერთობლივად უნდა სწავლობდნენ ჩვეულებრივი ბავშვებისაგან გამოცალკევებით, რადგან ისინი უფრო ეფექტიანად ისწავლიან მათთვის სპეციალურად მოწყობილ სასწავლო სიტუაციაში.

კასკადური/კონტინუუმის მოდელი

პირველი, ვინც წარმოადგინა განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისთვის სპეციალური მოდელი, გახლდათ რეინოლდსი 1960 წელს. აღნიშნული მოდელი გულისხმობდა თანმიმდევრული ნაბიჯების ერთობლიობას სპეციალური დაწესებულებიდან ზოგადსაგანმანათლებლო კლასამდე. დენომ, ეს მიდგომა განავრცო და კასკადური მოდელი უწოდა. აღნიშნულ მოდელში საგანმანათლებლო მომსახურება და ბავშვების განთავსება საგანმანათლებლო საჭიროებების მიხედვით გარკვეული დიაპაზონის სახეს იღებს. კერძოდ, მომსახურების დიაპაზონის საზღვრები ზოგადსაგანმანათლებლო სწავლებიდან სეგრეგაციამდეა, ხოლო განთავსების - ზოგადსაგანმანათლებლო კლასიდან სპეციალურ სკოლამდე. აღნიშნული მოდელის მთავარი პრინციპი ისაა, რომ ბავშვი, მისი საგანმანათლებლო საჭიროებიდან გამომდინარე, უნდა განთავსდეს ნაკლებად შემზღუდველ და მეტად მასტიმულირებელ გარემოში. შესაბამისად, მისი განთავსება დამოკიდებულია ინდივიდუალურ საჭიროებებზე და არ ატარებს პერმანენტულ ხასიათს.

სარესურსო ოთახი

რესურს ოთახი არის სკოლაში სპეციალურად გამოყოფილი ადგილი, რომელიც აღჭურვილია მოსწავლეების განათლებისათვის ხელშემწყობი ყველა აუცილებელი საშუალებებით. სპეციალისტები სარესურსო ოთახში კვირის განმავლობაში პერიოდულად ეხმარებიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს. მოსწავლე სწავლობს ჩვეულებრივ კლასში და აქ მხოლოდ გარკვეულ დროს ატარებს. სარესურსო ოთახი, ზოგადსაგანმანათლებლო კლასსა და სპეციალურ კლასს შორის შუალედური რგოლია.

რესურს ოთახი აღჭურვილია ადაპტირებული ავეჯით, მრავალფეროვანი თვალსაჩინოებებით, აუდიო-ვიდეო აპარატურით. რესურს ოთახი მოსწავლეებისთვის საგაკვეთილო პროცესის შემადგენელი ნაწილია, მათ ემსახურებათ ყველა ის მასწავლებელი, რომელთა მონაწილეობა აუცილებელია ინკლუზიური განათლების პროცესში. საჭიროების შემთხვევაში თერაპევტი და ფსიქოლოგი. მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად მეცადინეობის.

რესურს ოთახში ყოფნა დამხმარე საშუალებაა, სადაც ხდება ნასწავლი მასალის განმტკიცება და გავარჯიშება.

ინტეგრირებული სწავლება

ინტეგრირებული სწავლების დროს, განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლეები გაერთიანებული არიან ერთ კლასში და სწავლობენ მათთვის განკუთვნილი სასწავლო პროგრამით. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი გარკვეულ დროს ზოგადსაგანმანათლებლო კლასში ატარებს. მისი განთავსება ყველა ან ზოგიერთ გაკვეთილზე მაშინ ხდება, როცა აკმაყოფილებს აკადემიურ მოლოდინს. ასეთი სწავლება დამოკიდებულია მოსწავლის შესაძლებლობებსა და მიღწევებზე.

ინტეგრირებული კლასის სასწავლო პროგრამა დგება მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებებისა და სკოლის სასწავლო გეგმის გათვალისწინებით. ამ კლასის მოსწავლეები თითქმის ყველა სასწავლო აქტივობებში არიან ჩართულნი. (გამოფენა, ექსკურსია და სხვა ღონისძიებები). ზემოთ აღნიშნული მოდელი, ძალზედ ღირებული და უმნიშვნელოვანესი ფორმაა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების განათლებისთვის.

თავი 2. გონებრივი განვითარების დარღვევები და სწავლების სტრატეგიები

ფსიქიკური განვითარების დარღვევის ერთ-ერთ ფორმას გონებრივი ჩამორჩენილობა წარმადგენს. იგი ადრეული ასაკიდან ვლინდება და დიდ გავლენას ახდენს ბავშვის ფსიქიკურ განვითარებაზე და ჩვევების ჩამოყალიბებაზე. ამერიკის გონებრივი ჩამორჩენილობის ასოციაციის განმარტების მიხედვით: გონებრივი ჩამორჩენილობა არის მნიშვნელოვანი გადახრა ზოგადი ინტელექტუალური ფუნქციონირების დონიდან, რომელიც ადაპტაციური ქცევის დეფიციტს უკავშირდება და ვლინდება ადამიანის განვითარების პერიოდში. ,, ადაპტაციური ქცევის დეფიციტი'' ნიშნავს ჩამორჩენას სწავლასა და მომწიფებაში.

გონებრივი ჩამორჩენილობა განისაზღვრება ორი კრიტერიუმით:

1. **პიროვნების ინტელექტის დონე,** რომელიც გონებრივი შესაძლებლობების ციფრობრივ მაჩვენებელ - IQ კოეფიციენტს იძლევა.
2. **ადაპტაციური ფუნქციონირების ხარისხის მაჩვენებელი,** რომელიც განსაზღვრავს, თუ რამდენად შეუძლია პიროვნებას ყოველდღიური ცხოვრებისთვის საჭირო მოქმედებების შესრულება. (კომუნიკაცია, თვითმომსახურება, სწავლა, დასვენება, მუშაობა, საოჯახო საქმიანობა, სოციალური უნარ-ჩვევები).

გონებრივი ჩამორჩენილობა ხასიათდება შემდეგ სფეროებში დარღვევებით:

- კომუნიკაცია;
- სწავლა;
- დასვენება;
- მუშაობა;
- თვითმომსახურება;
- სოციალური ჩვევები;
- საოჯახო საქმიანობა.

გონებრივი ჩამორჩენილობის დიაგნოზი დამოკიდებულია როგორც პიროვნების ინტელექტის, ისე სხვა იგივე ასაკისა და კულტურის ადამიანებთან მიმართებაში, პიროვნების სოციალური უნარების და დამოუკიდებლად ფუნქციონირების შეფასებაზე. გონებრივი ჩამორჩენილობა ზოგიერთ ბავშვს უვლინდება იოლი ფორმით, ზოგს კი ძლიერად აქვს გამოხატული. გონებრივი ჩამორჩენილობის

დასახასიათებლად აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ ბავშვის ფსიქიკური განვითარება შემდეგ სფეროებს მოიცავს: შემეცნებითი უნარები, მეტყველებისა და კომუნიკაციის უნარი, მსხვილი და ნატიფი მოტორული უნარები, სოციალურ-ემოციური განვითარება.

გონებრივი განვითარების დარღვევის მქონე ბავშვები ყველაზე მწვავედ რეაგირებენ მათ მიმართ სხვების დამოკიდებულებაზე, ამიტომ მნიშვნელოვანია გრძნობდნენ სითბოს, სიყვარულს და კეთილგანწყობას. ამ ბავშვებს აუცილებლად უნდა ვასწავლოთ, რათა შეძლონ საზოგადოებაში ინტეგრირება. ვასწავლოთ წინა აკადემიური უნარები (ინსტრუქციის მოსმენა, გაგება, შესრულება და ა.შ) აკადემიური უნარ-ჩვევები (წერა, კითხვა, ანგარიში) და ფუნქციონალური უნარ-ჩვევები (თვითმომსახურება, საზოგადოებრივი ქცევის ნორმები.)

რა იწვევს გონებრივ ჩამორჩენილობას? გონებრივი ჩამორჩენილობა შეიძლება იყოს მრავალი მიზეზით გამოწვეული. გამოყოფენ შემდეგ ფაქტორებს:

პრენატალური (მუცლად მყოფი პერიოდი)

გენეტიკური

- ქრომოსომული დაავადებები;
- მეტაბოლიზმის თანდაყოლილი დარღვევები.

შეძენილი

- ნაყოფის ალკოჰოლური სინდრომი;
- დედის ინფექციები;
- დედის ინტოქსიკაციის წამლები.

ემბრიონალური განვითარების ადრეული ცვლილებები

- კონგენიტალური ანომალიები;
- ნერვული მილის განვითარების დეფექტები.

პრენიტალური (მშობიარობის პერიოდი)

- რთული მშობიარობა;
- ანფიქსია;
- მწვავე პლაცენტარული უკმარისობა;
- ჟანგბადის უკმარისობა.

ნეონატალური (დაბადებიდან 30 დღე)

- ქალა-ტვინის სამშობიარო ტრავმები;
- ინფექციები;
- რესპირატორული დარღვევები;

პოსტნატალური (მშობიარობის შემდგომ პერიოდი)

- ტოქსიკურ-მეტაბოლური დარღვევები;

- გულყრით სინდრომები;
- გარემოს ქრონიკული დეპრივაცია (ძალადობა, შეურაცხყოფა);
- ქალა-ტვინის დაზიანება;
- ინფექციები (მენინგიტი, ჰერპესი, სოკოვანი).

§ 1. გონებრივი განვითარების დარღვევის მქონე მოსწავლეების იდენტიფიკაცია

ბავშვის უნარის განვითარების დარღვევის მრავალი განსხვავებული ფორმა არსებობს: სწავლის უნარის სპეციფიკური დარღვევები-დისლექსია, ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომი, გონებრივი განვითარების დარღვევები- დაუნის სინდრომი, ცერებრული დამბლა, აუტიზმი, მხედველობის დაქვეითება, სმენის დაქვეითება, თითოეული მათგანი სპეციფიკური გამოვლინებით ხასიათდება და ადეკვატურ დიაგნოსტიკასა და მართვას მოითხოვს.

არსებობს გონებრივი განვითარების დარღვევების ხარისხები, რომელსაც განსაზღვრავენ IQ ტესტში მიღებული ქულებით: (IQ - არის ინტელექტ ის კოეფიციენტი, რომელიც ინტელექტის საზომი ტესტებით იზომება. ერთ-ერთია ვექსლერის ტესტი.)

- **(IQ 50-55 —70) მსუბუქი გონებრივი ჩამორჩენილობა ;**
- **გონებრივი ასაკი 9 – 12 წელი.**

  - ვლინდება სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები.
  - ვლინდება ნორმალური სოციალური ურთიერთობების დამყარებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღების უნარებთან დაკავშირებული სირთულეები.

- **(IQ 35-40 —50) საშუალო გონებრივი ჩამორჩენილობა;**
- **ვლინდება განვითარების თვალსაინო შეფერხება.**

  შეუძლიათ შეიძინონ კომუნიკაციური და საბაზო აკადემიური უნარები. 6-9 წელია მოზრდილებში გონებრივი განვითარების ასაკი. სჭირდებათ დახმარება საზოგადოებაში ცხოვრებისა და მუშაობისათვის.

- **(IQ 20-25 —40) მძიმე გონებრივი ჩამორჩენილობა;**

  საჭიროებენ მუდმივ დახმარებას, გონებრივი ასაკი მოზრდილებში შეესაბამება 3-6 წელს.

- **(IQ 20-ზე ქვევით) ღრმა გონებრივი ჩამორჩენილობა.**

ასაკი- 3 წლამდე, დარღვევები ვლინდება მოძრაობაში, ურთიერთობებში და თვითმომსახურებაში.

გონებრივი ჩამორჩენილობის ხარისხი განისაზღვრება, იმის მიხედვით თუ რა დონის დახმარება ესაჭიროება შეზღუდული უნარის მქონე ადამიანს.

გამოყოფენ დახმარების ოთხ დონეს:

- დროებითი - რომელსაც არ ესაჭიროება მუდმივი დახმარება.
- შეზღუდული - პერიოდულად ესაჭიროებათ გარკვეული სახის დახმარება.
- ექსტენსიური - ესაჭიროებათ ყოველდღიური დახმარება.
- ყოვლისმომცველი - მოითხოვს მუდმივ, ინტენსიურ დახმარებას. (1. 43/44.)

რა ახასიათებს გონებრივ ჩამორჩენილობას?

აზროვნების სპეციფიურობა. აზროვნება არის კონკრეტული და სიტუაციური, უჭირთ სხვდასხვა ნივთებზე თუ ცხოველებზე მსგავსების პოვნა. მაგალითად, მსგავსების პოვნა თაგვსა და დათვს შორის. მათ იციან რომ თაგვი და დათვი ორივე ცხოველია, მაგრამ მათ უნდა შეეძლოთ ზომაში სხვაობის იგნორირება, იგი ვერ პოულობს საერთო ნიშანს, რადგან მთელი მისი ყურადღება განსხვავებაზეა მიპყრობილი. ამ დროს ბავშვის აზროვნება კონკრეტულ-თვალსაჩინო ხასიათს ატარებს. ბავშვის ცოდნაც კონკრეტულ-სიტუაციურია და მისი განზოგადება სხვა სიტუაციაში ძნელდება.

სწავლის ნელი ტემპი. ახალი მასალის ასათვისებლად საჭიროებენ მრავალჯერად განმეორებას. ინფორმაციის განმტკიცებას ჭირდება დიდი დრო;

ყურადღების კონცენტრაციის დარღვევა. რთულია სხვადასხვა აქტივობებში ჩართვა და მიმდინარე აქტივობიდან ახალ აქტივობაზე გადართვა;

მეტყველების განვითარების დარღვევა. მეტყველების განვითარების დონე დამოკიდებულია ფსიქიკური განვითარების ხარისხზე. რაც უფრო მძიმეა ბავშვებში გონებრივი ჩამორჩენილობა, მით უფრო თავს იჩენს პრობლემები მეტყველების დაუფლებაში. გამოხატულია ლექსიკური მარაგის სიმწირით, ენის სინტაქსური მხარის და გაბმული მეტყველების დარღვევით, ან შესაძლებელია ძლიერი ჩამორჩენაც, რაც გამოიხატება მეტყველების კომუნიკაციის სრული დარღვევით;

მოტორული პრობლემები. ჩვილობის ასაკში ბავშვი გვიან სწავლობს ჯდომას, დგომას, ხოლო სკოლამდელი ასაკის ბავშვის მოძრაობები მოუქნელია. უჭირთ შეთანხმებული მოძრაობების შესრულება (ბურთით თამაში, სირბილი), ასევე ნატიფი მოძრაობების შესრულება: ფანქარის, დანის, მაკრატლის ხმარება. რთულად ხდება თვითმომსახურების ჩვევების შესრულება (ჭამა, დაბანა, ჩაცმა და ა.შ);

სოციალური ადაპტაციის პრობლემები. ისინი გვიან და რთულად ითვისებენ სოციალურ ჩვევებს: საზოგადოებრივ ადგილებში მოქცევის წესებს, ოჯახში მოქცევის წესებს.

ემოციური მოუმწიფებლობა. დარღვეულია ემოციების გამოხატვის და შეკავების უნარი. მათ შეუძლიათ უკიდურესად საპირისპირო ემოციების გამოხატვა, იმპულსურები არიან და ვერ აკონტროლებენ ემოციებს. (1. 92/93.)

რამდენად ხშირია გონებრივი ჩამორჩენილობა? სხვადასხვა ქვეყნების მონაცემებით საერთო პოპულაციის 2-3 %. ხშირად გვხვდება აუტიზმთან, ბავშვთა ცერებლურ დამბლასთან. 80% აღენიშნება იოლი გონებრივი ჩამორჩენილობა. 12 % საშუალო, 7% ძლიერი, ხოლო მძიმე გონებრივი ჩამორჩენილობა 1 %.

შეიძლება თუ არა გონებრივი ჩამორჩენილობის განკურნება? გონებრივი ჩამორჩენილობა მთელი ცხოვრება თან ახლავს ადამიანს. ეს არ არის დაავადება, ეს არის განვითარების დარღვევა, რომელიც სხვადასხვა მიზეზებით არის გამოწვეული. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას რომ ბავშვის მკურნალობა შესაძლებელი არ არის, შეიძლება ბავშვის მდგომარეობის შეცვლა. მას სჭირდება როგორც მედიკამენტური ასევე ქცევითი, ფსიქოლოგიური, სამკურნალო-პედაგოგიური ღონისძიებები.

§ 2. ინკლუზიური განათლების ხელშემწყობი გარემო

ინკლუზიური განათლების წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელია ,, სწავლისადმი კეთილგანწყობილი" გარემოს შექმნა. მიეცეს მოსწავლეს უფლება უსაფრთხო და კეთილგანწყობილ გარემოში განათლების მიიღების, მოსწავლეებისადმი ინდივიდუალური განსხვავებებისა და საგანმანათლებლო საჭიროების მიმართ გულისხმიერი დამოკიდებულება, ყველა მოსწავლისთვის განათლების თანაბარი პირობების უზრუნველყოფა და თანამონაწილეობის ხელშეწყობა სასკოლო საქმიანობაში. მთავარ მიზანს უნდა წარმოადგენდეს სასწავლო პროცესში ბავშვის ჩართულობის გაუმჯობესება.

- **სწავლისადმი და მოსწავლისადმი კეთილგანწყობილი გარემო**

სწავლისადმი და მოსწავლეებისადმი კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა, ყველა ბავშვისათვის განათლების თანაბარი პირობების უზრუნველყოფა საგანმანათლებლო დაწესებულების უმთავრესი ამოცანაა. აკადემიური და სოციალური წარმატებების მიღწევა სკოლის უმთავრესი ღირებულებაა. აქცენტი კეთდება მოსწავლისა და მასწავლებლის ერთობლივ მიზანმიმართულ და მიზანმსწრაფულ მუშაობაზე. მთავარი ყურადღება ეთმობა მოსწავლეს, მის აქტიურ ჩართვას სწავლის პროცესში. მასწავლებლები, ადმინისტრაცია, მშობლები ყველა ერთიანდებიან ამ მიზნისათვის, რის შედეგადაც სკოლაში თანამშრომლობის, ურთიერთობების და პატივისცემის გარემო იქმნება. სწორედ კეთილგანწყობილი გარემოსთვის მთავარია ჰუმანური, კეთილგანწყობილი ურთიერთობები. ასევე მნიშვნელოვანია თუ რამდენად ვცდილობთ მივცეთ მოსწავლეს საუკეთესო განათლება და როგორი მეთოდებით. მიუხედავად ინდივიდუალური თავისებურებებისა და განსხვავებებისა სწავლისა და მოსწავლის მიმართ კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა აუცილებელი პირობაა წარმატებული მუშაობისათვის.

კეთილგანწყობილი გარემოს შექმნას სკოლაში აქვს ბევრი უპირატესობა: მოსწავლეები უფრო თავდაჯერებულები და კრეატიულები ხდებიან, უვითარდებათ

მაღალი თვითშეფასება, სწავლობენ ყოველდღიურ უნარ-ჩვევებს, ცხოვრების ჯანსაღ წესს, უმჯობესდება კომუნიკაციის უნარი, პატივს ცემენ სხვების უფლებებს, ბავშვები სწავლობენ დამოუკიდებლობას როგორც სკოლის შენობაში, ასევე სკოლის გარეთ.

ინკლუზიური სწავლებისადმი კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა მნიშვნელოვანია მასწავლებლებისათვისაც. ისინი მუშაობენ სხვადასხვა კატეგორიის მოსწავლეებთან, იძენენ უფრო მეტ გამოცდილებას და ახალ ცოდნას. ყველა ბავშვი მაქსიმალურად არის ჩართული სასწავლო პროცესში და ავლენს შესაძლებლობების მაქსიმუმს.

- **მოსწავლეების ინდივიდუალური განსხვავებებისა და საგანმანათლებლო საჭიროებების მიმართ გულისხმიერი დამოკიდებულება**

ყველა მასწავლებლის მიზანია მოსწავლის სასწავლო მიზნებისა და წარმატებების უზრუნველყოფა. მოლოდინები და მოსწავლისთვის დასახული მიზნები განხორციელებადი უნდა იყოს. ნებისმიერ დავალება, რომელსაც მოსწავლეს ვაძლევთ მისი შესაძლებლობების დონეს უნდა შეესაბამებოდეს. მნიშვნელოვანია მოსწავლის თვითშეფასების ამაღლება, ქცევის პოზიტიური მართვა, სწავლისადმი ინტერესის გაღვივება და მოტივაციის ამაღლება.

სკოლაში ინკლუზიური განათლების დანერგვისთანავე ის ცხოვრების აუცილებელი და შემადგენელი ნაწილი გახდა. ბოლო პერიოდში ბავშვებს შორის ურთიერთობა უფრო კეთილსინდისიერი და პატიოსანი გახდა. მოსწავლეები აღარ უსვამენ ხაზს მათი მეგობრის ,, განსხვავებულობას,, მათ უხარიათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლის წარმატებები, ეს ბავშვები მთელ კლასში განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობენ. სკოლა უნდა ქმნიდეს ყველა აუცილებელ პირობას, რომ თითოეული მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებები იყოს მაქსიმალურად დაკმაყოფილებული. ინკლუზიური განათლების ეფექტური წარმართვისათვის არსებობს სკოლის მართვის რამდენიმე ძირითადი პრინციპი.

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის, სასკოლო სასწავლო გეგმაში უნდა განისაზღვროს, ამ მოსწავლეების განათლებისათვის ხელშემწყობი მექანიზმები, ისგ, განსაკუთრებული საგაკვეთილო განრიგი, დამატებითი მეცადინეობები, ადაპტირებული სასწავლო პროგრამები.
- სკოლამ უნდა უზრუნველყოს სსსმ მოსწავლეების ზოგადი განათლების მიღების უფლება. დაუშვებელია მოსწავლეების მიღებისას რაიმე სახის დისკრიმინაცია.
- სკოლას უნდა ჰყავდეს ინკლუზიური განათლების კოორდინატორი, რომელიც შეიძლება იყოს მასწავლებელი, დირექციის წევრი ან მშობელი. მისი ფუნქციაა თვალყური ადევნოს ინკლუზიური განათლების პროცესს, მოსწავლეთა დასწრებას და სასკოლო აქტივობებში ჩართულობის ხარისხს. კოორდინატორი საბჭოს წინაშე აყენებს ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს და მათთან ერთად პრობლემის მოგვარებას უნდა ცდილობდეს.

§ 3. ინკლუზიური განათლების პროცესის დამხმარე საშუალებები

ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში სსსმ მოსწავლეების ჩართულობას ხელს უწყობს დამხმარე საშუალებების გამოყენება. ეს საშუალებები მოსწავლეს ეხმარება გახდეს უფრო დამოუკიდებელი და უადვილებს შემდეგ საქმიანობებში თანამონაწილეობას:

- თანატოლებთან კომუნიკაციაში;
- სკოლაში თვით მოვლის აქტივობების შესრულებაში;
- წერასა და კითხვაში;
- სკოლის გარშემო გადაადგილებაში, თამაშში და ა.შ.

დამხმარე საშუალებები შეიძლება იყოს მაღალ ტექნოლოგიური და ძვირად ღირებული ტექნიკა, ან იაფი და უფრო მარტივი. დამხმარე საშუალებების შერჩევისას უნდა გავითვალისწინოთ რომ საკლასო პროცესში ის იოლად გამოიყენებოდეს. საქართველოში ძვირად ღირებული და მაღალტექნოლოგიური დამხმარე საშუალებები არ არის ხელმისაწვდომი. (პორტატიული კომპიუტერები წერის პრობლემის მქონე მოსწავლეთათვის, ელექტრო ეტლები გადაადგილებისათვის). თუმცა ამ საშუალებების ჩანაცვლება შესაძლებელია იაფი და ხელმისაწვდომი ტექნიკით ჩანაცვლება. დამხმარე საშუალებებთან დაკავშირებით აუცილებელია მოსწავლის მშობლის ინფორმირება, რადგან შეიძლება მშობელი წინააღმდეგი იყოს (ეტლი, საწერი საშუალება, განსხვავებული მერხი) ამ საშუალებების გამოყენებით, რადგან არ სურთ მოსწავლე გამოირჩეოდეს სხვა თანატოლებისგან. თუმცა ხშირ შემთხვევაში ასე არ ხდება და მშობლები წინააღმდეგი არ არიან განსხვავებული საშუალებების გამოყენების. დამხმარე საშუალებების გამოყენება უნდა აისახოს მოსწავლის პორტფოლიოში ან ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში, იმიტომ რომ მოხდეს განსაზღვრა შესაბამისი პირობებისა და გარემოებების და შემდეგ საჭირო დამხმარე საშუალებების გამოყენება.

ხშირად გამოყენებადი დამხმარე ტექნოლოგიები:

კომპიუტერული ტექნიკა აქტიურად გამოიყენება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან. აქტიურად მოიხმარენ მასწავლებლები შესაბამისი დავალებების შესასრულებლად. კომპიუტერული ტექნიკა შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს: ტექსტის დაბეჭდვისა, თუკი მოსწავლეს აღენიშნება სირთულე ხელით წერისას, მოისმინონ ტექსტი შესაბამისი გახმოვანებით ან მიიღონ შესაბამისი ინფორმაცია, თუკი აღენიშნებათ მხედველობის ან კითხვის სირთულეები, ტექსტის ფორმატირება, შრიფტის გაზრდა მხედველობის პრობლემის შემთხვევაში.

საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და საშუალებები განსხვავდება სირთულის, ღირებულების და მრავალი ფუნქციონირების მიხედვით. მოსწავლეთა კომუნიკაციის სირთულეები შესაძლებელია გამოწვეული იყოს მრავალი ფაქტორებით: სამეტყველო აპარატის კუნთების პათოლოგიური მდგომარეობა, მეტყველების ერთი ერთეულიდან შემდეგზე გადართვის სირთულე, შეზღუდული

სიტყვათა მარაგი, სხვისი მეტყველების გაგების სირთულე, კომუნიკაციისთვის არასაკმარისი მოტივაციის არსებობა და სხვა.

ტექნოლოგიები და საშუალებები გადაადგილებისთვის და ჯდომისთვის

აღნიშნულ ტექნოლოგიებსა და საშუალებებში მოიაზრება ეტლები, სასიარულო ჩარჩოები, ლიფტები, რომელიც უზრუნველყოფს ფიზიკური შეზღუდულობის მქონე მოსწავლის მეტ დამოუკიდებლობას. ამ მოსწავლეების საკლასო აქტივობებში ჩართულობისთვის ხშირად მნიშვნელოვანია ადაპტირებული ავეჯის (სკამი, მერხი) შერჩევა და მისი საშუალებით სწორი პოზის უზრუნველყოფა. სწორედ სწორი პოზა არის წინაპირობა სხვადასხვა აქტივობების განხორციელებისათვის. მაგალითად ცერებრური დამბლის მქონე მოსწავლე სტანდარტულ მერხთან ჯდომისას ექმნება წონასწორობის პრობლემა, რის გამოც გაუჭირდება ყურადღებით უსმინოს მასწავლებელს და შეასრულოს წერითი დავალებები, რადგან მისი ყურადღება გადატანილია წონასწორობის შენარჩუნებისაკენ. ამიტომ აუცილებელია ადაპტური ავეჯის შერჩევა.

სკოლის გარემოში ხშირად გამოყენებადი საშუალებები

- მაგნიტური დაფა და მაგნიტური ასოები,
- კალკულატორი,
- წიგნის დამჭერი,
- გადიდებულ ღილაკებიანი და გამარტივებული კომპიუტერული კლავიატურა,
- ადაპტირებული მაუსი,
- ადაპტირებული საკანცელარიო ნივთები (საწერი კალმის გასქელებული ტარი, მაკრატელი),
- ანტისლიპი (მაგიდის ზედაპირზე დასაკრავი სპეციალური მასალა) რომელიც ხელს უშლის ნივთების ჩამოსრიალებას,
- თვალსაჩინო ბარათები, ნიშნულები და ა.შ. (1. 63-67).

სკოლის ფიზიკური გარემოს ორგანიზება

სკოლის ფიზიკურმა გარემომ შეიძლება მნიშვნელოვნად განსაზღვროს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ჩართულობა სასკოლო აქტივობებში. ფიზიკურმა გარემომ შეიძლება შეაფერხოს ინკლუზიური პროცესი სკოლაში. მოსწავლეები სკოლაში ხშირად გადაულახავ დაბრკოლებებს აწყდება კიბის სახით, სკოლის შესასვლელთან და სართულებს შორის. თანამედროვე შენობები უნდა იყოს შესაბამისად ორგანიზებული, რათა ნებისმიერი მოსწავლისთვის იყოს მისაწვდომი. ადაპტირებული სკოლა არამარტო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლისთვისაა სასარგებლო, არამედ თანაბრად ყველა მოსწავლისთვის. ამისათვის საჭიროა სკოლის აგებისთანავე გათვალისწინებული იყოს შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხები:

- **პანდუსი სკოლის შესასვლელთან.**

პანდუსი მნიშვნელოვანი ატრიბუტია ეტლით მოსარგებლე მოსწავლეთათვის, მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება სკოლის შენობაში შეღწევის. პანდუსი უნდა აიგოს გასათვალისწინებელი სტანდარტების შესაბამისად, რათა მოსწავლეს არ შეექმნას პრობლემა და მარტივად გადალახოს. პანდუსი უნდა იყოს დახრილი სტანდარტული კუთხის დაცვით და სახელურებით აღჭურვილი. აუცილებელია სკოლის ცენტრალურ შესასვლელთან აშენდეს, შშმ მოსწავლეებმა და მათმა თანაკლასელებმა ერთი და იგივე შესასვლელით უნდა ისარგებლონ.

- **გასასვლელის სიგანე**

აუცილებელია, რომ გასასვლელი კარების სიგანე სწორად იყოს შერჩეული, რადგან ეტლით მოსარგებლე მოსწავლეებს დაბრკოლება არ შეექმნათ.

- **ზღურბლები გადასასვლელებში**

კლასის, ბუფეტის, ტუალეტის შესასვლელში აუცილებელია გადასასვლელი იყოს იოლი და არ არსებობდეს ზღურბლები, რის არსებობაც ქმნის ბარიერს ეტლით მოსარგებლე მოსწავლეებისათვის.

- **კარები და სახელურები**

კარების სახელურები ისე უნდა იყოს შერჩეული რომ მასზე ჩაჭიდება შეძლოს სხვადასხვა სიმაღლის და მოტორული პრობლემის მქონე მოსწავლეებმა. კარები აღჭურვილი უნდა იყოს როგორც ვერტიკალური ასე ჰორიზონტალური სახელურებით. კარი არ უნდა იყოს ძალიან მძიმე. იოლად უნდა იღებოდეს და იხურებოდეს. ეტლით მოსარგებლე მოსწავლეებისათვის ეფექტურია ელექტრო კარები, რომელიც ადამიანის მიახლოებისთანავე იღება.

- **ტუალეტი**

ტუალეტი უნდა იყოს ადაპტირებული ეტლით მოსარგებლე მოსწავლეებისათვის. აუცილებლად აღჭურვილი უნდა იყოს ადაპტირებული უნიტაზებით და შესაბამის სიმაღლეზე დამონტაჟებული სახელურებით, შესაბამისი სივრცით, ეტლის მოტრიალება დაბრკოლებას არ უნდა უქმნიდეს მოსწავლეს.

- **ლიფტი**

ლიფტი მოსწავლეს ეტლით გადაადგილებაში უწყობს ხელს, თუმცა ყველა სკოლას არ არის აღჭურვილი ლიფტით, ამიტომ სკოლის ადმინისტრაციამ უნდა დაუშვას გამონაკლისი იმ კლასისთვის, რომელსაც ყავს ეტლით მოსარგებლე მოსწავლე და შეურჩიონ კლასი სკოლის პირველ სართულზე.

- **ნიშნულები**

სკოლის კედლებზე მნიშვნელოვანია ნიშნულების განთავსება, რომელიც ერთ-ერთი დამხმარე საშუალებაა ყველა მოსწავლისთვის, იოლად იპოვონ ტუალეტი, ბუფეტი, სხვადასხვა კაბინეტები და ა.შ.

ეტლით მოსარგებლე მოსწავლეებისათვის მნიშვნელოვანია საკლასო სივრცის მორგება. მერხების ისეთი განლაგება, რომ ეტლით მოსარგებლე მოსწავლეს გადაადგილებაში ხელი არ შეეშალოს. მოსწავლისათვის დასაჯდომი ადგილის შერჩევა, მისი და სხვა მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს, აგრეთვე მნიშვნელოვანია მერხის შერჩევაც. სწორად შერჩეული მერხი და

სკამი უზრუნველყოფს ჯდომის სწორ პოზას, რომელიც გაუმარტივებს საგაკვეთილო აქტივობებში მონაწილეობის მიღებას.
ჯდომის სწორი პოზა - სკამის სიმაღლე სწორად უნდა იყოს შერჩეული, რომ მოსწავლეს ჯდომისას ტერფების დაყრდნობა შეეძლოს იატაკზე. მუხლისა და მენჯის სახსარში ფეხები 90 გრადუსით უნდა იხრებოდეს. მაგიდის სიმაღლე მოსწავლეს 90 გრადუსით მოხრილი იდაყვების ქვეშ უნდა ებჯინებოდეს. ყველა მოსწავლე ინდივიდუალურია, ამიტომ საკლასო ოთახში სწორი ჯდომის პოზას ადგენს სპეციალისტი. (1. 67/71)

§ 4. გონებრივი განვითარების დარღვევის მქონე მოსწავლეების სწავლების სტრატეგიები.

მოსწავლეთა კარგი სწავლება , მიუხედავად მათი უნარებისა და მიდრეკილებებისა, სწორედ ამას გულისხმობს ინკლუზიური განათლება. ინკლუზიური განათლება ძრითადად საკლასო ოთახში ხორციელდება და მოითხოვს გარკვეულ კომპეტენციებს მასწავლებლებისაგან. ნებისმიერი კლასი განსხვავებული უნარებისა და შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისაგან შედგება. მასწავლებელმა კი ყველა ერთნაირად უნდა დაინტერესოს საკუთარი საგნით და მიაღწიოს შეძლებისდაგვარად მაღალ სასწავლო შედეგს. არსებობს რამდენიმე ეფექტური სტრატეგია ამ მიზნის მისაღწევად:

- კლასის რუტინის და წესების შემუშავება, უმთავრესი წესი არის ერთმანეთის პატივისცემა. წესების დაცვას მასწავლებელი მოითხოვს თითოეული მოსწავლისაგან.
- ყოველი გაკვეთილი წინასწარ არის დაგეგმილი და განსაზღვრულია ყველა საგაკვეთილო აქტივობა.
- უსაფრთხო და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა კლასში, სადაც თითოეული მოსწავლის შესაძლებლობები აღიარებულია.
- მასწავლებელი გამოყოფს მოსწავლის ძლიერ მხარეებს და ცდილობს სწავლის მოტივაციის ამაღლებას, წახალისების, დაჯილდოების გზით.
- მასწავლებელი ყურადღებით ეპყრობა მოსწავლის სწავლის სირთულეებს და ეძიება ამ სირთულეების დაძლევის გზებს.
- მასწავლებელი სწავლის სირთულის მქონე მოსწავლეს განიხილავს, როგორს გამოწვევას და არა პრობლემას. ყველა ბავშვს ინდივიდუალური თავისებურებების შესაბამის დავალებებს ურჩევს და იყენებს მრავალფეროვან სწავლების სტრატეგიებს.
- მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეს სწავლის სირთულეების დაძლევაში, უმარტივებს დავალებას და ეტაპობრივად აწვდის რთულ მასალას.
- მასწავლებელი გეგმავს საგაკვეთილო პროცესს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინებით, ყველა მოსწავლე მაქსიმალურად უნდა იყოს ჩართული საგაკვეთილო პროცესში.

- მასწავლებელი მიმართავს კოლეგებს და გუნდური მუშაობის პრინციპით ცდილობს დაეხმაროს მოსწავლეებს სირთულეების დაძლევაში.
- მასწავლებელი აფასებს და ახალისებს როგორც მოსწავლის აკადემიურ უნარებს, ასევე ყველა იმ უნარ-ჩვევებს, რომელსაც კლასში ავლენს.
- ქცევის მართვის პოზიტიური მიდგომა, მოსწავლის კარგი ქცევა ყოველთვის წახალისდება მასწავლებლის მიერ, ხოლო მიუღებელი ქცევა მაქსიმალურად იგნორირებულია. მასწავლებელი აანალიზებს მოსწავლის ქცევის პრობლემას, ესაუბრება მას და არკვევს მიზეზებს , მოსწავლესთან ერთად ეძიება ცუდი ყოფა-ქცევის დაძლევის გზებს.

მნიშვნელოვანი და აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გონებრივი განვითარების დარღვევის მქონე ბავშვები კარგად სწავლებადნი არიან და მათ აუცილებლად უნდა ვასწავლოთ:

წინააკადემიური უნარები (ინსტრუქციის მოსმენა, გაგება, შესრულება, რიგის დაცვა, ხაზების გავლება, ფერების ამოცნობა და ა.შ).

აკადემიური უნარ-ჩვევები (წერა, კითხვა, ანგარიში).

ფუნქციონალური უნარ-ჩვევები (თვითმომსახურება, სახლის დალაგება, ფულთან ურთიერთობა, საზოგადოებრივი ქცევის ნორმები და ა.შ).

არსებობს რამდენიმე ეფექტური სტრატეგია, რომელთა გამოყენება დაგვეხმარება გონებრივი განვითარების დარღვევების მქონე ბავშვებთან წერა-კითხვის, თვლის სწავლებაში:

კითხვის სწავლების რამდენიმე ეფექტური სტრატეგია

კითხვა რთული ლინგვისტური პროცესია, რომლის დასწავლაც სკოლაში მიზანმიმართული მეცადინეობების შედეგად ხორციელდება. კითხვის დასწავლა გულისხმობს ენისთვის დამახასიათებელი ასოების ამოცნობის უნარის განვითარებას, ხოლო ბგერების სიტყვებად გაერთიანებას. სიტყვის ამოკითხვის პროცესი სრულყოფილად რომ ჩაითვალოს აუცილებელია სიტყვის ცნობა და მისი მნიშვნელობის გაგება. არიან ბავშვები, რომლებიც კითხვის სწავლისას სერიოზული სირთულეები აქვთ, შესაძლებელია მოსწავლეს სირთულე კითხვის სწავლების ნებისმიერ ეტაპზე შეექმნას. კითხვის უნარის დარღვევა სწავლის უნარის ხშირი დაქვეითებაა. სწავლის უნარის დაქვეითების 70-80% აღენიშნება კითხვის უნარის დეფიციტი. კითხვის უნარის დარღვევას სხვადასხვა მოსწავლეებთან სხვადასხვა მახასიათებელი გააჩნია:

- ასოების ამოცნობის პროცესის გახანგრძლივება,
- ბგერების გადანაცვლება,
- ასოების ერთმანეთში არევა,
- ასოების სიტყვებად გამთლიანების სირთულე,
- მიხვედრით კითხვა,
- სიტყვის შინაარსის წვდომის სირთულე,
- კითხვის ინტონაციის დარღვევა.

კითხვის სწავლების მრავალი სხვადასხვა მეთოდი არსებობს. კითხვის სწავლების მეთოდის შერჩევის დროს აუცილებელია მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება. განვიხილოთ კითხვის სწავლების რამდენიმე ეფექტური სტრატეგია:

მულტისენსორული მეთოდი- ვასწავლოთ ბავშვს კითხვა მისი სხვადსხვა სენსორული არხების გამოყენებით და დატვირთვით: შეხებით, სმენით, მხედველობით. მაგალითად, გამოვიყენოთ არსებული წიგნები, რომლებსაც სხვადასხვა სენსორული ელემენტები აქვს, ხმას გამოსცემს და შესაბამისი ფაქტურის ტექსტილი ადევს სხვადსხვა ცხოველს, შესაძლებელია მასწავლებელმა და მშობელმა თავად შეადგინონ სკოლის მასალის პარალელურად ასეთი მასალები ბავშვებისათვის. ამგვარი მასალის შექმნა არ მოითხოვს დიდ ფინანსურ რესურს და ძალიან შემოქმედებითი პროცესია. ასოების დასასწავლად უნდა გამოვიყენოთ არა მხოლოდ დაბეჭდილი ასოები, არამედ ასოების ფიგურები, რომელსაც ხელის შეხებით დაათვალიერებენ და შეიმეცნებენ. დასაშვებია ასოების გადიდებული ზომით მიწოდება, რათა ასოების მოყვანილობა უფრო თვალსაჩინო იყოს მათთვის.

ინდივიდუალური მეთოდი- დაგვეხმარება სწრაფად მოვახდინოთ კითხვის სირთულეების განსაზღვრა. ასევე მშვიდ გარემოში, სხვადასხვა დამხმარე საშუალებებით ისწავლონ კითვა.

ფონეტიკური მეთოდი- ვასწავლოთ მოსწავლეებს დაამყარონ კავშირები ბგერებსა და დაწერილ ასოებს შორის.

მთლიანობითი მეთოდი- ვასწავლოთ ბავშვებს დაწერილი სიტყვების მთლიანი ხატის დამახსოვრება. საგნების, ცხოველების ნახატებს მკაფიოდ მივაწეროთ მათი სახელები. მოსწავლეები ამ მასალასთან მუშაობის შედეგად მარტივად იმახსოვრებენ საგნის და შესაბამისი სიტყვის ხატს. ამის შემდეგ განვაცალკევოთ სიტყვა და სურათი, მივცეთ დავალება დამოუკიდებლად მოუძებნოს საგანს შესაბამისი სიტყვა.

წერის სწავლების რამდენიმე ეფექტური სტრატეგია

წერა რთულად ორგანიზებული ფსიქიკური ოპერაციაა, მისი დაუფლება სხვადასხვა უნარის კოორდინირებულ განვითარებას გულისხმობს. წერის უნარის ათვისება მოითხოვს წერის ტექნიკური წინაპირობების გავარჯიშებას და მხოლოდ გარკვეული დროის და გაწაფვის შემდეგ ხდება ის ავტომატიზირებული პროცესი.

წერითი დავალებების შესრულების რამდენიმე ეფექტური სტრატეგიაა:

ალტერნატიული გზების ძიება- აძლევს მოსწავლეს შესაძლებლობას საკუთარი უნარები, აზრები, ცოდნა, მისთვის ხელმისაწვდომი ფორმით გამოხატოს: ნაცვლად ხელით წერისას, მოსწავლეს ეძლევა კომპიუტერზე ბეჭდვის შესაძლებლობა.

მოთხოვნების შეცვლა- მოთხოვნებისა და დავალებების მოდიფიცირება ისე, რომ თავი ავარიდოთ მოსწავლის ყველაზე დიდ სირთულეებს.

მიზანმიმართული ინსტრუქციები- კალიგრაფიისა და წერის უნარის გაუმჯობესებისათვის.

უნდა გვახსოვდეს, რომ როდესაც წერის ალტერნატიულ გზებსა და მოდიფიკაციაზე ვსაუბრობთ, ცვლილებები ეხება წერითი აქტივობის ყველა სფეროს და არსებობს რამდენიმე რჩევა მასწავლებლებისათვის, თუ როგრო განახორციელონ ჩამოთვლილი ცვლილებები:

- წერითი დავალების სირთულეს;
  - ✓ დავყოთ წერა საფეხურებად და ვასწავლოთ მოსწავლეებსაც ამის გაკეთება;
  - ✓ კალიგრაფიას და გადაჯღაბნილებს შეფასებისას ნუ მივაქცევთ ყურადღებას.
- წერითი სამუშაოს შესრულების ხანგრძლივობას;
  - ✓ საჭიროების შემთხვევაში მივცეთ მეტი დრო დამოუკიდებლად დავალების შესრულების, გადაწერის და საკონტროლო წერისთვის;
  - ✓ წინასწარ ვიქონიოთ ფურცლები გამოწერილი ასოებით და შესასრულებელი დავალებებით;
  - ✓ მივცეთ უფლება კლასზე ადრე დაიწყოს დავალება;
- შესასრულებელი წერითი სამუშაოს მოცულობას;
  - ✓ დავუყოთ მოსწავლეებს დავალება მცირე ნაწილებად, აჯობებს დავალება მოკლე წინადადებებით და კითხვებზე პასუხით შეასრულოს;
  - ✓ მოსწავლის ნაწერის შეფასებისას არ უნდა მივაქციოთ ყურადღება მის კალიგრაფიას, ყურადღება უნდა გავამახვილოთ ნაწერის ძლიერ მხარეებზე;
  - ✓ მოვამზადოთ წინასწარ შეკითხვები, რომელიც მარტივ წერილობით პასუხს მოითხოვენ;
  - ✓ თავი ავარიდოთ მოსწავლის მექანიკური გადასაწერი დავალებებით დატვირთვას.
- წერისთვის გამოყენებულ საშუალებებს _ პასტები, ფანქრები;
  - ✓ მივცეთ მოსწავლეებს უფლება გამოიყენონ მათთვის კომფორტული ზომის, სისქის ან სიმძიმის პასტა თუ ფანქარი;
  - ✓ მოსწავლეებმა თვითონ აირჩიონ საწერი ფურცლების ტიპი. (ცალხაზიანი, უჯრებიანი ან სუფთა ფურცელი);
  - ✓ თვითონ აირჩიონ პასტის და საწერი ფურცლის ფერი.
- ნაწერის ფორმატს.

✓ მივცეთ უფლება მოსწავლეებს მათთვის ხელმისაწვდომი ფორმით შეასრულოს წერითი დავალება.

§ 5. ოჯახისა და სკოლის ერთობლივი მუშაობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების აღზრდის პროცესში.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლის სასწავლო გარემოში ინტეგრაციას მრავალი ფაქტორი განაპირობებს. სწორედ ოჯახი, სკოლა და საზოგადოება

ურთიერთ შემავსებელი სფეროებია. ეს ის სამი სოციალური სფეროა, რომელშიც ბავშვი იზრდება და ვითარდება. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია ამ სამი სფეროს თანამშრომლობა, რომლის ცენტრიც ბავშვია. თითოეულ მათგანს მნიშვნელოვანი როლი აქვს მოსწავლის სწავლასა და განვითარების პროცესში.

ოჯახს უმთავრესი როლი ენიჭება ბავშვის განვითარებასში. ოჯახი შედგება ოჯახის წევრებისაგან. ოჯახის წევრებს შორის არსებობს სპეციფიკური ურთიერთობები და კომუნიკაცია. ოჯახს, ოჯახურ გარემოს, და საყოფაცხოვრებო პირობებს დიდი მნიშვნელობა აქვს პიროვნების ჰარმონიული განვითარებისათვის.

ბავშვს ჭირდება მშვიდი, ჰარმონიული ცხოვრება, მოსიყვარულე ოჯახის წევრებთან ერთად, რომლებიც მათზე ზრუნავენ, აფასებენ, პატივს სცემენ, აღიარებენ, კარგად ეპყრობიან. მათ გრძნობებს და შეხედულებებს გაგებით ეკიდებიან. ბავშვმა ოჯახში უნდა ისწავლოს თვითდისციპლინა. კარგად უნდა გაითავისოს საზოგადოებაში არსებული და აუცილებელი წესები. ბავშვებს უნდა განუვითაროთ უნარი თავად დაგეგმონ დღე, განსაზღვრონ მოვალეობები, შესაძლებლობები და ინტერესები.

ოჯახში ბავშვის ღირსების გრძნობა უნდა გაძლიერდეს, თვითრწმენა ჩამოუყალიბდეს. ოჯახის წევრები ბავშვის ინტერესებს და მოთხოვნებს პატივისცემით უნდა მოეპყრონ. უნდა ვაღიაროთ ბავშვის პიროვნება და გრძნობები, უნდა შეეძლონ მათ მდგომარეობაში შესვლა , მათი ქცევის, გრძნობების და მდგომარეობის გაგება. ოჯახში ბავშვი სწავლობს ურთიერთობის, კომუნიკაციის და საკუთარი გრძნობების გამოხატვის ფორმებს. ბავშვი მშობლის ქცევებს იმეორებს, რადგან მშობელი მისი იდეალია და მას ბაძავს. ამიტომაც ოჯახს ბავშვის პირველ მასწავლებელს უწოდებენ. მშობელთა მონაწილეობა ბავშვის აღზრდისა და განვითარების პროცესში საშუალებას იძლევა საკლასო სწავლება ისე გაფართოვდეს, რომ ბავშვის მიერ შინ გამოვლენილ ინტერესებს მიესადაგოს.

ინკლუზიური განათლება და ზოგადად ადრეული განათლების სფეროში, ხშირად დიდი გამოწვევაა მშობლების და ოჯახის წევრების დაინტერესება ბავშვის სწავლებისა და განვითარების პროცესის. მშობლების უმეტესი ნაწილი დადებითად აფასებენ ინკლუზიური განათლებას და სწავლების ამ ფორმას. მშობელთა ნაწილს კი მიაჩნიათ, რომ ზოგასაგანმანათლებლო კლასში მათი შვილების ჩართვა კიდევ უფრო გააღრმავებს იზოლაციას. ისინი არამარტო ვერ აითვისებენ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, არამედ თანატოლების მიერ უარყოფითი ემოციების გამოხატვაც მათზე ცუდად იმოქმედებს. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა ინკლუზიურ განათლებაში ჩართული ყველა პროფესიონალი აღიარებს რომ ინკლუზიური განათლება შეუძლებელია განხორციელდეს მშობელთა ჩართულობის გარეშე.

მშობლებმა უნდა იზრუნონ, რათა შვილებმა:

- განავითარონ უნარ-ჩვევები;
- მიიღონ განათლება;
- ადეკვატურად მოიქცნენ;

- შეიძინონ მეგობრები და გახდნენ საზოგადოების სრულფასოვანი წევრები.

შშმ ბავშვების მშობლებსა და სკოლას შორის უნდა ყალიბდებოდეს პარტნიორული ურთიერთობები, რომ შეთანხმებული მოქმედებითა და ერთიანი სტრატეგიით მიიღწევა დასახულ მიზანს. სკოლის ადმინისტრაციამ, პედაგოგებმა, მშობლები აქტიურ პარტნიორებად უნდა მოიაზრონ გადაწყვეტილებების მიღების დროს. ყველა მშობელს გააჩნია განსხვავებული აზრი აღზრდის მეთოდებზე, შეხედულებები და დამოკიდებულებები. ისინი ერთმანეთისგან ცხოვრების სტილით, პროფესიით და ინტერესებით განსხვავდებიან. დასაქმებულ მშობელს შვილთან საუბრისთვის და ურთიერთობებისთვის დრო არც კი რჩებათ, რამაც შეიძლება უარყოფითად აისახოს შვილის მდგომარეობაზე. ამ ტიპის მშობლები თვლიან რომ ბავშვის განათლებაზე, დისციპლინაზე, ურთიერთიბებზე, ჩართულობაზე და წარმატებაზე პასუხისმგებლობა სკოლას ეკისრება.

არსებობს მშობლების კატეგორია, რომლებიც ზედმეტად აქტიურობითაც გამოირჩევიან. ასეთი მშობლები ხელს უშლიან შვილებსაც და მასწავლებლებსაც, რომ რაიმე დამოუკიდებლად აკეთონ. მასწავლებელს ეკისრება რთული მისია , ყველა ნაბიჯი კარგად დაგეგმილი და გააზრებული უნდა იყოს, ვინაიდან მის კომუნიკაციაზე და ურთიერთობის დამყარებაზეა დამოკიდებული ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული წარმატებული თანამშრომლობა.

მშობლების მხრიდან სასწავლო პროცესის სრული სერიოზულობით აღქმა და მხარდაჭერა, იქნება მოსწავლის აკადემიური და პიროვნული უნარ-ჩვევების განვითარების წინაპირობა. მასწავლებელმა კი უნდა ეცადოს,რომ შშმ მოსწავლის მშობელს თავი თანასწორად და თავდაჯერებულად აგრძნობინოს, სხვა მოსწავლის მშობლებთან ერთად. გამოცდილება გვიჩვენებს რომ ამ ბავშვების მშობლები, სხვადასხვა დამოკიდებულებებს და რეაქციებს ავლენენ შვილის მიმართ.

მწუხარება - შვილის მდგომარეობის გამო უბედურად მიიჩნევენ თავს და არიან იმედგაცრუებულები. მშობელს მას ამის უფლება აქვს, თუმცა შვილს არ უნდა აგრძნობინოს მისი დამოკიდებულება.

ოპტიმიზმი - მშობლები, მიუხედავად ყველაფრისა იმედიანად არიან და აქცევენ ბავშვს ყურადღებას, ზრუნავენ მის პიროვნებაზე.

ამბივალენტუობა - მშობლები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ მათი შვილების პრობლემა არ შეიცვლება და თვითონ ცდილობენ განსაზღვრონ ბავშვის ცხოვრება.

მშობელსა და შვილს შორის ურთიერთობების გასაუმჯობესებლად და სწორი ხედვის ჩამოსაყალიბებლად, მნიშვნელოვანია:

- ხშირად ვესაუბროთ;
- არ დავადანაშაულოთ;
- თუ იმსახურებს, შევაქოთ და წავახალისოთ;
- მოვერიდოთ გაუგებრობებს;
- შევეცადოთ ჩავწვდეთ მისი საქციელის არსს;
- აქცენტი გავაკეთოთ ძლიერ მხარეებზე;
- დრო დავუთმოთ მისი პრობლემის გადაწყვეტას.

- გამოვნახოთ საერთო ენა;
- ვისაუბროთ მისთვის საინტერესო თემაზე;
- მივცეთ არჩევანის გაკეთების საშუალება;
- გავიზიაროთ მისი ინტერესები;
- მივცეთ გადაწყვეტილების მიღების საშუალება;
- დავეხმაროთ მიაღწიოს წარმატებას და თვითკმაყოფილებას.

მშობლებმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეულახონ ბავშვებს ღირსება, არამედ მათ სჭირდებათ მშობლების გულშემატკივრობა, მზრუნველობა. დაარწმუნონ უნდა თავიანთ შესაძლებლობებში, გამოუმუშავონ პასუხისმგებლობის გრძნობა, პოზიტიური დამოკიდებულება საკუთარი მე-ს მიმართ. ამგვარი მიდგომით აღზრდილი ბავშვები უფრო უსაფრთხოდ და ჰარმონიულად გრძნობენ თავს.

ოჯახის შემდეგ სკოლა უმნიშვნელოვანესი ინსტანციაა, სადაც ბავშვი დიდ დროს ატარებს. სკოლა ის ადგილია, სადაც მოსწავლე მოსწავლე თავისი ცხოვრების ხანგრძლივ და მნიშვნელოვან დროს ატარებს. სკოლა აერთიანებს უამრავ ადამიანს. თითოეული მათგანის მთავარი მიზანია წარმატებული მუშაობა, რომელიც მიმართულია ბავშვის ინტერესებსა და საჭიროებებისკენ. სწორედ ეს გახლავთ მოსწავლის წარმატების მიღწევის საწინდარი. სკოლის პერიოდში მოსწავლეს უყალიბდება შეხედულებები, ღირებულებები, ამყარებს სოციალურ კონტაქტს, აღწევს წარმატებებს, იმუხტება დადებითი და უარყოფითი ემოციებით, მისი პიროვნება ფორმირდება. სკოლის მუშაობა თითოეული მოსწავლის ჩართულობისკენაა მიმართული. მოსწავლის ჩართულობა, ინკლუზია, პედაგოგიური კოლექტივის კეთილგანწყობასა და კვალიფიკაციაზეა დამოკიდებული. სკოლა უნდა ქმნიდეს სწავლისადმი კეთილგანწყობილ გარემოს, სადაც ყველა მოსწავლე თანაბრად ჩაერთვება სასწავლო პროცესში. მოსწავლეების ინდივიდუალური განსხვავებებისა და საჭიროებების მიმართ გულისხმიერი დამოკიდებულება, ყველა მოსწავლისათვის თანაბარი პირობების უზრუნველყოფა და თანამონაწილეობის ხელშეწყობა სასკოლო საქმიანობაში. მოსწავლე უნდა მოექცეს ყურადღების ცენტრში მისი მოთხოვნებით და საჭიროებებით.

ინკლუზიური სწავლებისადმი კეთილგანწყობილი გარემო მნიშვნელოვანია არა მარტო მოსწავლეებისთვის, არამედ მასწავლებლებისა და მშობლების განვითარებისთვის. ასეთ გარემოში მოსწავლეები ყოველდღიურ უნარ-ჩვევებს და ცხოვრების ჯანსაღ წესს სწავლობენ, სადაც მათი შესაძლებლობების დაფასება, შექება, აღიარება და წახალისება ხდება. ეს ყველაფერი სკოლის მუშაობის ხარისხს განაპირობებს.

სკოლაში ინკლუზიური განათლების წარმატებით დანერგვისათვის, აუცილებელია სკოლის მასწავლებლების, მოსწავლეების და მათი მშობლების დამოკიდებულების და ინფორმირებულობის გათვალისწინება ინკლუზიური განათლების მიმართ. სკოლის მოსწავლეებს და მშობლებს აქვთ უფლება მიიღონ ინფორმაცია სკოლაში დაგეგმილი და მიმდინარე პროცესების შესახებ. მშობელს ასევე აქვს უფლება მოითხოვოს მოსწავლის დეტალური ინფორმაცია მისი საჭიროებების შესახებ.

სკოლისა და ოჯახის ურთიერთობა ძალიან მნიშვნელოვანია მოსწავლისათვის. პატივისცემაზე და კეთილგანწყობაზე დაფუძნებული ურთიერთობა მშობლებსა და მასწავლებლებს შორის დადებითად აისახება მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობაზე, სწავლის ხარისხსა და წარმატებაზე, აგრეთვე მასწავლებლების მიმართ ჯანსაღ დამოკიდებულებაზე.

სკოლისა და მშობლის ურთიერთობა თანამონაწილეობის ხასიათს უნდა ატარებდეს. განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როცა ბავშვს რაიმე სახის სირთულე ექმნება სასკოლოგარემოში, სასწავლო პროცესში, თანატოლებთან ურთიერთობისა და ა.შ. ხშირად პედაოგებმა არ იციან როგორ მიუდგნენ მოსწავლეს, მიუხედავად მრავალი მცდელობისა, მოსწავლეებთან ურთიერთობისას არაფერი გამოსდით. ამ დროს შესაძლოა მშობელმა გაუწიოს მასწავლებელს დახმარება, მათთან საუბრის შედეგად ისეთი ინფორმაცია მიიღონ , რომელიც მასწავლებელს პრობლემის გადაჭრის გზას აპოვნინებს. ხშირად პირიქით ხდება, მშობლები საჭიროებენ მასწავლებლისა და სკოლის მხრიდან ინფორმაციულ და პროფესიულ დახმარებას. სკოლის მიერ, მოსწავლეებზე მიღებული რაიმე სახის გადაწყვეტილებები, მშობელებთან უნდა იყოს შეთანხმებული.

მშობელთა პარტნიორობაზე სალამანკას დეკლარაციაში ხაზგასმთაა აღნიშნული: ,,სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების განათლება არის მშობლების და პროფესიონალების საზიარო, საერთო ამოცანა. მშობლების მხრიდან დადებითი დამოკიდებულება ხელს უწყობს სკოლასა და სოციალურ ინტეგრაციას. მშობელს მხარდაჭერა სჭირდება სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვის მშობლის როლის პასუხისმგებლობის ასაღებად. ოჯახებსა და მშობლების როლის გაზრდა შესაძლებელია საჭირო ინფორმაციის მარტივ და გასაგებ ენაზე ჩამოყალიბებით; ინფორმაციული უზრუნველყოფა და მშობლის უნარების ტრენიგი არის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ამოცანა იმ კულტურულ გარემოში, სადაც სწავლა-აღზრდის ნაკლები წეს-ჩვეულებებია. მასწავლებლებსა და მშობლებს შესაძლოა დასჭირდეთ ერთად, როგორც თანაბარ პარტნიორებად მუშაობის, სწავლის მხარდაჭერა და წახალისება.“ (3. 27).

სკოლა ყველაფერს უნდა აკეთებდეს თანამშრომლობაზე დაფუძნებული ურთიერთობის დასამყარებლად და თითოეული ბავშვისა და მშობლის მოთხოვნილებების გასათვალისწინებლად. მასწავლებლებს უნდა ესმოდეთ რომ ყველა მშობელს, ისევე როგორც მოსწავლეს განსხვავებული მოთხოვნილებები აქვს. მასწავლებლებმა უნდა ჰქონდეთ სათანადო დამოკიდებულება თანამშრომლობის პროცესში, მშობლებთან ურთიერთობის განვითარების სურვილი და უნარი. ყველა სკოლას უხდება მშობლებთან ურთიერთობა, რომელთა ნაწილიც სასწავლო პროცესით კმაყოფილები არ არიან. ასეთ შემთხვევაში სკოლის ხელმძღვანელობას უნდა შეეძლოს სწორი სტრატეგიებით მშობლებთან კომუნიკაცია. გამონახონ დრო მშობლებთან სასაუბროდ, აგრძნობინონ რომ მათი აზრი მნიშვნელოვანია, მათთან ურთიერთობაში ყველაზე მთავარი მოსმენის უნარი და თანაგრძნობაა, სიმშვიდე და

თავდაჯერებულობის შენარჩუნება. სკოლის დირექციამ ეფექტურად უნდა მართოს სკოლაში წარმოქმნილი კონფლიქტები.
რჩევები მშობლებსა და მასწავლებლებს:

- გამოვხატოთ სურვილი სკოლასთან/მასწავლებლებთან/მშობლებთან თანამშრომლობის;
- გავმართოთ დიალოგი, მივაწოდოთ სასურველი ინფორმაცია ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით;
- გავითვალისწინოთ მშობლების/მასწავლებლების აზრი;
- პატივისცემაზე დაფუძებული ურთიერთობა მნიშვნელოვანია, რათა სათანადო მაგალითი მივცეთ მომავალ თაობას;
- გავუზიაროთ ერთმანეთს ცოდნა, გამოცდილება, დაკვირვება, შთაბეჭდილებები, განცდები;
- ბავშვის განათლებაზე პასუხისმგებლობის განაწილება;
- ერთობლივად გადაწყვეტილებების მიღება და სირთულეების გადაჭრა.

მულტიდისციპლინური გუნდი- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის წარმოადგენს სპეციალისტთა გუნდს, რომელთა მთავარ ფუნქციას სკოლებში ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა წარმოადგენს. მულტიდისციპლინური გუნდი ახორციელებს მოსწავლეების საგანმანათლებლო საჭიროებების შეფასებას და სკოლის ადმინისტრაციის, პედაგოგების და მშობლების კონსულტირებას. გუნდის შემადგენლობაში შედის: ფსიქოლოგი, სპეც.მასწავლებელი, ოკუპაციური თერაპევტი.
ფსიქოლოგი - მოსწავლის შემეცნებითი, ემოციური, ქცევითი, ფუნქციური უნარ-ჩვევების, კომუნიკაციის და მეტყველების შეფასებას ახდენს სკოლის ფსიქოლოგი. სკოლის ფსიქოლოგი ახდენს ასევე მოსწავლის სწავლისა და ქცევის იდენტიფიკაციას.ინფორმაციის მიღების მიზნით აქტიურად თანამშრომლობს მოსწავლის მშობლებთან, სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ყველა პირთან. სკოლის ფსიქოლოგი აქტიურად მონაწილეობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში, კონსულტაციას უწევს საგნის პედაგოგებს საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვაში, გააცნობს საგნის მასწავლებლებს და მშობელს სწავლებისა და ქცევის მართვის სხვადასხვა სტრატეგიებს. სკოლის ფსიქოლოგი ასევე ესწრება ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გაკვეთილებს, აკვირდება ბავშვის ქცევას და მის ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში.
სპეც. მასწავლებელი - სკოლაში სადაც ხორციელდება ინკლუზიური განათლება დიდი ყურადღებას იქცევს სპეციალური მასწავლებლის მუშაობა. სპეციალური მასწავლებელი ერთ-ერთი რგოლია, იმ ჯაჭვისა, რომელის მოსწავლის ირგვლივ არის შეკრული. სპეც. მასწავლებელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია იმისა რომ შეაფასოს მოსწავლის სწავლებასა და სწავლასთან დაკავშირებული სპეციალური საჭიროება. მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსწავლის აკადემიური უნარების განვითარებაში, მისი ქცევის, სოციალური უნარების და დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდაში.

სპეც.მასწავლებლის ნებისმიერი აქტივობების მთავარი მიზანი მიმართულია ინკლუზიური მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობისაკენაა. სწორედ

მოსწავლეთა ჩართულობაა მთავარი პრინციპი ინკლუზიური სკოლისა. სკოლის სტრატეგია ეფუძნება ინკლუზიური მოსწავლეების სრულფასოვან მონაწილეობას სკოლის ცხოვრებასა და აქტივობებში. ,,ადამიანი სხვა ადამიანებთან აქტიური ინტერაქციის პროცესში ვითარდება და არა გარემოსგან მოწყვეტით ან განარტოვებით“ (ლევ ვიგოტსკი).

სპეციალური მასწავლებელი კონსულტირებას უწევს საგნის მასწავლებელს და მას ეხმარება ინდივიდუალური გეგმის შედგენაში, გაკვეთილის დაგეგმვაში, მოსწავლის სუსტი და ძლიერი მხარეების განსაზღვრაში, ააქტივობების, ასახსნელი მასალის მიწოდების სწორი სტრატეგიების შერჩევაში. სპეც. მასწავლებელი ხელს უწყობს ინკლუზიურ მოსწავლეებსა და დანარჩენ მოსწავლეებს შორის დადებითი ურთიერთობების ჩამოყალიბებაში. დადებითი ურთიერთობების ჩამოყალიბება შესაძლებელია ჯგუფური აქტივობების დაგეგმვით, ისეთი საკლასო აქტივობების შერჩევით, რომელიც განავითარებს მოსწავლის თანამშრომლობით უნარებს, თითოეული მოსწავლე ჯგუფის თანამონაწილედ იგრძნობს თავს, დაეხმარება თავისი შესაძლებლობების გამოვლენაში. სპეციალური მასწავლებელი საგნის მასწავლებელს ეხმარება კონკრეტული მოსწავლის ქცევის მართვაში. სპეც. მასწავლებელი ფლობს პრობლემური ქცევის მართვის სტრატეგიებს, შეუძლია დაადგინოს პრობლემური ქცევის გამომწვევი მიზეზები, საჭიროების შემთხვევაში დახმარებით მიმართავს სკოლის ფსიქოლოგს და მათ ერთად უნდა შეიმუშავონ ქცევის მართვის სტრატეგიები. ხშირად მასწავლებლებსა და შშმ მოსწავლეებს შორის არ ხერხდება თანამშრომლობითი ურთიერთობა, იმის გამო რომ მოსწავლეს აქვს კომუნიკაციის დამყარების პრობლემა. ამ შემთხვევაში სპეციალური მასწავლებელი ეხმარება საგნის მასწავლებელს, რომელიც დამხმარე ან ალტერნატიულიტექნოლოგიების გამოყენებით კომუნიკაციას ამყარებს მოსწავლესთან. (სურათებით კომუნიკაცია)

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლე საჭიროებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელის შედგენაშიც მონაწილეობს სპეციალური მასწავლებელი. ის მოსწავლის ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით ახდენს ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირებას. სპეც. მასწავლებელი როგორც მასწავლებელთან, ასევე აქტიურად თანამშრომლობს მოსწავლის მშობლეთან, აღმზრდელთან. ის კარგად უნდა იცნობდეს მოსწავლის ირგვლივ არსებულ გარემოებას და საჭიროების შემთვევაში მისცეს რეკომენდაციები მოსწავლის მშობელს, თუ რომელი სპეციალისტის ჩართვაა საჭირო მოსწავლესთან მუშაობის პროცესში. სპეც.მასწავლებელი აქტიურად მონაწილეობს მოსწავლის ირგვლივ მიმდინარე პროცესებში, მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე მოსწვლესთან გეგმავს ინდივიდუალური მეცადინეობებს რესურს ოთახში, კლასში ან სააღმზრდელოში. ინდივიდუალური მეცადინეობის მიზანია ქცევის, აკადემიური და სოციალური უნარების გაუმჯობესება.

მულტიდისციპლინური გუნდის ფუნქციებია:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების იდენტიფიკაცია, შეფასება, მათი ინდივიდუალური საჭიროებების და შესაძლებლობების განსაზღვრა;

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების სპეციალიზირებულ სკოლებში ჩარიცხვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება;
- გუნდის წევრი განსაზღვრავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე სტატუსის მინიჭების და მოხსნის თაობაზე გადაწყვტილებებს;
- თუ მოსწავლე ვერ დადის სკოლაში ჯანმრთელობის პრობლემების გამო, გუნდის წევრი მიდის ოჯახში მოსწავლის შეფასების მიზნით და განსაზღვრავს უნდა ხდებოდეს თუ არა მოსწავლის განათლება შინ სწავლების მეთოდით;
- გუნდის წევრი ახდენს აქტიურ კომუნიკაციას მშობლებთან, რათა მოხდეს მოსწავლის აკადემიური, ემოციური და ფუნქციონალური უნარების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოძიება.

დირექტორი- სკოლის დირექტორის ძირითადი ფუნქციაა სკოლის ყოველდღიური ხელმძღვანელობა და მართვა, რომლის საშუალებითაც უზრუნველყოფილი იქნება სკოლის საქმიანობის ყველა სფეროში მაღალი სტანდარტების მიღწევა. დირექტორის მთავარი ფუნქცია ისაა რომ უზრუნველყოს ისეთი სასწავლო პროცესის არსებობა, რომელიც საშუალებას მისცემს ყველა მოსწავლეს, მიიღოს მაღალი ხარისხის განათლება.

სკოლის ხელმძღვანელობა დიდ როლს თამაშობს ინკლუზური ბავშვების საჯარო სკოლებში სწავლის უზრუნველყოფაში. მნიშვნელოვანია შეიქმნას უფრო მოქნილი მენეჯმენტი, რათა სკოლას შეეძლოს ამ მოსწავლეების მხარდაჭერა, მშობლებთან და საზოგადოებასთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარება. დირექტორის მთავარ დანიშნულებას წარმოადგენს ინკლუზიური განათლების განხორციელებისათვის კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა. გუნდური ურთიერთობა თანამშრომლებში, შეთანხმება, მათი წახალისება და ხელშეწყობა.

თითოეული ბავშვის წარმატებაზე თუ წარუმატებლობაზე პასუხისმგებელი სკოლა უნდა იყოს, რომ მხოლოდ კონკრეტული მასწავლებელი პასუხს არ აგებს მოსწავლის განათლებაზე. სკოლის მთელმა საგანმანათლებლო გუნდმა უნდა გაიზიაროს პასუხისმგებლობა. ამ პროცესს ხელმძღვანელობს სკოლის დირექტორი, რომელსაც თავად უნდა სწამდეს ინკლუზიური განათლების პრინციპების და მიზნების. წინააღმდეგ შემთხვევაში იქნება წარმატებელი შედეგი, რასაც დადებითი შედეგი არც მოსწავლისთვის მოუტანია და არც სკოლისთვის.

სკოლაში ინკლუზიური განათლების წარმატებით განხორციელებისათვის საჭიროა:

- სათანადოდ კადრების მომზადება;
- სკოლების აღჭურვილობა ყველა საჭირო ინვენტარით;
- სწავლების მეთოდიკის დანერგვა. (პაჭკორია, ჭელიძე, იაშვილი - მოსწავლე, ოჯახი, სკოლა,თბ. 2011).

„ ინკლუზია არის ხორცშესხმა იმისა, რომ თითოეული ადამიანი თავს გრძნობს ღირსეულად და ყველას აქვს საქმიანობა, რომელშიც შეუძლიათ წვლილი შეიტანონ" (ზაქარეიშვილი, ბარაბაძე, მიდელაური. 2015:9)

ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ღირებულებებით, ინტერესებით შესაძლებლობებით, სწორედ ეს განსხვავებულობა განაპირობებს საზოგადოების განვითარებას. განსხვავებულობა არის ნორმა, საზოგადოება უნდა აღიარებდეს განსხვავებულობას. საზოგადოების გარკვეულ ნაწილს ყოველდღიურად უწევს ბრძოლა, რათა შეძლოს განათლების მიღება ან დასაქმება, იმ მიზეზი გამო რომ მათი შესაძლებლობები უმრავლესობის მსგავსი არ არის. თანამედროვე მსოფლიოს ძალიან ბევრ პრობლემებთან და გამოწვევებთან უწევს შეჭიდება, თითქმის მილიარდმა წერა-კითხვის უცოდინარმა ადამიანმა შეაბიჯა ოცდამეერთე საუკუნეში.

თომას ჰობსი წერს: *„ბუნებამ იმდენად თანასწორნი შექმნა ადამიანები ფიზიკური და გონებრივი უნარების მხრივ, რომ თუმცა ზოგი მათგანი შეიძლება სხვაზე აშკარად ღონიერი და გონებაგახსნილი, საბოლოოდ ინდივიდები მაინც იმდენად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ ვინმემ თქვას, მე რაღაც ისეთი სიკეთე მეკუთვნის, რაზეც სხვას ასეთივე პრეტენზია ვერ ექნებაო.”*

განათლება ყველას თანაბრად ეკუთვნის, მიუხედავად ინდივიდების ფსიქოსოციალური საჭიროებისა და ინკლუზიური სტატუსისა.

„ინკლუზიური საზოგადოების განვითარება შშმ პირთა უფლებების აღიარებასა და დაცვას გულისხმობს. ეს უფლებები ცხოვრების უკლებლივ ყველა სფეროზე ვრცელდება- სასკოლო განათლების მიღება, საზოგადოებაში არსებობა, ჯანდაცვა, პოლიტიკური მონაწილეობა, ოჯახის შექმნა, სპორტულ აქტივობებში მონაწილეობა, მოგზაურობა და, რა თქმა უნდა ღირსეული დასაქმება” - აღნიშნა ანტონიო გუტიერეშმა, გაეროს გენერალურმა მდივანმა.

საქართველოს საზოგადოება სულ უფრო მეტად აღიარებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებს და მეტ მიმღებლობას იჩენენ მათ მიმართ.

UNDP-ის ხელმძღვანელი ლუიზა ვინტონის განცხადება:

„მივესალმებით საქართველოს მიერ აღებულ ვალდებულებას ინკლუზიური საზოგადოების მშენებლობის თაობაზე. თუმცა ქვეყანას ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი იმისთვის რომ, ეს გადაწყვეტილება შეასრულოს და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ცხოვრებაში ძირეული გარდატეხა უზრუნველყოს. ამ მხრივ კორონავირუსმა ახალი გამოწვევები შექმნა, მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას და საზოგადოებას, იზრუნონ მათზე, რომ პანდემიამ კიდევ უფრო არ დაამძიმოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მდგომარეობა. გაეროს განვითარების პროგრამას მტკიცედ სჯერა, რომ ინკლუზიური საზოგადოებისკენ მიმავალი გზა ამავდროულად პანდემიით გამოწვეული კრიზისიდან გამოსვლისა და შემდგომ აღდგენის გზაცაა“ (1. 25) .

თავი 3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ინსტრუმენტია განათლების ძირითადი პრინციპის - თანამონაწილეობის განსახორციელებლად. იმისთვის, რომ ისგ-მ ხორცი შეისხას, აუცილებელია ეროვნული სასწავლო გეგმის ბავშვის საჭიროებებზე

მორგება. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებზე მორგებული დოკუმენტი, რომელიც მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო მიზნებს და ამ მიზნების მისაღწევ გზებს განსაზღვრავს. ყოველდღიურ სასწავლო გეგმაში დეტალურად არის აღწერილი და ცხრილის სახით წარმოდგენილი, თუ რა მისაღწევი შედეგებია დღის განმავლობაში კონკრეტული მოსწავლისათვის. ინდივიდუალური გეგმა იქმნება კონკრეტული მოსწავლისთვის და გამოიყენება როგორც სახელმძღვანელო ამ მოსწავლის სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის აუცილებლობა ხდება მაშინ, როცა მოსწავლეს:

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება აქვს, რომელიც საჭიროებს განსხვავებულ მიდგომებს სწავლებისას და შეფასებისას.
- არ აღენიშნება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება , მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო, საჭიროებს სპეციალურ სასწავლო პროგრამას. (ხანგრძლივი ავადმყოფობა)

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მოსწავლეს ეხმარება როგორც საკლასო და აკადემიურ საქმიანობებში, ისე ყველა იმ არა აკადემიურ საქმიანობებში, რომლის განხორციელებაც მოსწავლეს უწევს სკოლაში (ტუალეტის, ბუფეტის მოხმარება, თანაკლასელებთან ერთად გართობის და დასვენების შესაძლებლობას).

ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია, ინდივიდუალური სასწავლო მიზნები, მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების, მისი ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით. იმისთვის, რომ მოსწავლებ შეძლოს ეროვნულ სასწავლო გეგმაში და ამ გეგმის ფარგლებში ინდივიდუალურად განსაზღვრული მიზნების მიღწევა, აუცილებელია გარკვეული ცვლილებების განხორციელება, სასწავლო პროცესში და სასწავლო გეგმაში. მასწავლებელს შეუძლია იხელმძღვანელოს მხოლოდ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, იმ შემთხვევაში თუ მოსწავლისთვის ყველა საგნობრივ პროგრამაში სასწავლო მიზნები ინდივიდუალურად არის განსაზღვრული, აგრეთვე შეიძლება ისგ-ს გამოყენება ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, თუ მოსწავლე არ მოითხოვს ყველა სასწავლო მიზნის ინდივიდუალურად შემუშავებას.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის სასწავლო პროცესი მნიშვნელოვანია მიმდინარეობდეს ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროცესთან, მოსწავლეებთან ერთად, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის ინტეგრაციას კლასში. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მასწავლებელს ეხმარება გააკონტროლოს მოსწავლის მიღწევები და მოსწავლის ინფორმაციის გაზიარებაში. გეგმის განახლება ხდება პერიოდულად, წინასწარ დათქმულ ვადაში, მოსწავლის შეფასების შედეგებისა და სასწავლო მიღწევების საფუძველზე.

ეროვნული სასწავლო გეგმა არის დოკუმენტი, სადაც მაქსიმალურად არის გათვალისწინებული მოსწავლის საჭიროებები. სასწავლო გეგმის ცვლილებებს კი ადაპტაცია ქვია. ადაპტაცია თითოელი მოსწავლისთვის სხვადასხვა ტიპის და ხარისხისაა. მისი ძირითადი მიმართულებებია:

- სასწავლო გეგმის აკომოდაცია, არის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გარემოს ისეთი ცვლილება, რომელიც ამცირებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შეზღუდვებს და ზრდის განათლების ხელმისაწვდომობას. თითოეული ცვლილების მიზანია ისეთი სასწავლო გარემოს შექმნა, რომელიც გაზრდის მიზნის მიღწევის შესაძლებლობას.
- სასწავლო გეგმის მოდიფიკაცია. მოდიფიკაცია არის ესგ-ით განსაზღვრული შედეგების რაოდენობრივი ან თვისებრივი ცვლილება, რომელიც გულისხმობს სასწავლო მიზნების შემცირებას ან გაზრდას, გამარტივებას ან გართულებას. ხშირად საკმარისი არ არის აკომოდაციების გამოყენება და საჭირო ხდება ცვლილებების შეტანა სასწავლო მიზნებში.
- სასწავლო გეგმაში ალტერნატიული მიზნების შეტანა. სპეციალური საგანმანათლებლო მოსწავლის წარმატებისთვის ხშირად შესაბამისი საფეხურის მიზნის შერჩევის და შესაბამისი საფეხურის მიზნის მოდიფიკაციისა საჭირო ხდება ალტერნატიული მიზნების შემუშავება. ალტერნატიული მიზნის შერჩევა ხდება მაშინ, როცა მოსწავლეს მინიმალური ბარიერის გადალახვაც არ შეუძლია. მისი შერჩევა ხდება ინდივიდუალურად კონკრეტული მოსწავლისთვის.

ინდივიდუაური სასწავლო გეგმის განხორციელების პროცესი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება კონკრეტული მოსწავლისთვის . მისი შემუშავების პროცესი აუცილებლად გულისხმობს გუნდურ მიდგომას, რაც გულისხმობს მოსწავლის მხარდასაჭერად მშობლის, მასწავლებლის, სპეც. პედაგოგის, ფსიქოლოგის, მეტყველების, ოკუპაციური თერაპევტის და სხვა სპეციალისტების შეთანხმებული და მიზანმიმართული მუშაობა. ამ ადამიანებს, რომლებიც მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გაანხორციელების მიზნით ერთიანდებიან ისგ გუნდს უწოდებენ. ისგ გუნდის ყველა წევრი აფსებენ მოსწავლის ყველა იმ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ მოსწავლის სასწავლო აქტივობებში ჩართულობაზე, შემდეგ მოპოვებულ ინფორმაციას განიხილავენ გუნდის შეხვედრაზე. მოსწავლის ძლიერ და სუსტ მხარეებს, პედაგოგის პრიორიტეტებს და სასწავლო გეგმის გათვალისწინებით, თანხმდებიან სასწავლო მიზნებსა და ამ მიზნების მისაღწევ გზებზე.

გუნდური შეხვედრები საშუალებას იძლევა:

- ინფორმაციის გაზიარებისა გუნდის წევრებს შორის;
- მოსწავლის სუსტ და ძლიერ მხარეებზე ერთიანი აზრის ჩამოყალიბების;
- შეთანხმებული მიზნების დასახვის;
- დახმარების დონის განსაზღვრის;
- შესაბამისი სასწავლო ღონისძიებებისა და სტრატეგიების დაგეგმვის;
- შეფასების ერთიანი პროცედურის შეთანხმების.

გუნდის შეხვედრების ორგანიზებას მოსწავლის ისგ კოორდინატორი უწევს, რომელიც ინიშნება სკოლის ადმინისტრაციის მიერ. კოორდინატორის ადგილზე ხშირად მოსწავლის დამრიგებელი, სპეციალური მასწავლებელი, ან ფსიქოლოგი ინიშნება. მისი მოვალეობაა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, განხორციელება და მონიტორინგი.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა წერილობითი დოკუმენტია. გეგმის ფორმა ან სქემა არ არსებობს, რომელსაც ყველა საგანმანათლებლო სისტემა გამოიყენებდა. ყველა საგანმანათლებლო დაწესებულება თავად განსაზღვრავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმას, რომელიც მისთვის ყველაზე მოსახერხებელია. მთავარია გეგმაში ასახული იყოს ყველა მნიშვნელოვანი საკითხი.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმა შესაძლებელია იყოს განსხვავებული, შინაარსით კი ერთი. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიცავს ძირითად კომპონენტებს:

- დემოგრაფიული მონაცემები,
- მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები,
- გრძელვადიანი მიზნები,
- მოკლევადიანი მიზნები,
- განხორციელების გზები,
- შედეგების მონიტორინგი,
  - ინდივიდუალური სასწავლო გეგმასთან დაკავშირებული შეხვედრის ოქმები (1. 36).

მოსწავლის პორტფოლიო - მოსწავლის პორტფოლიო წარმოადგენს კრებულს, სადაც თავს იყრის მოსწავლის შესახებ საჭირო ინფორმაცია, რომელიც კონკრეტული მოსწავლის სწავლასა და განათლებას ეხება. მასწვლებლები მოსწავლის პორტფოლიოს იყენებენ იმისათვის, რომ დააფიქსირონ ინფორმაცია მოსწავლის სწავლისა და განვითარების ასპექტში. პორტფოლიო უნდა ასახავდეს მოსწავლის საჭიროებებს, ძლიერ და სუსტ მხარეებს, სოციალურ და საგანმანათლებლო გარემოს. პორტფოლიო წარმოადგენს გზამკვლევს მოსწავლის განათლების დაგეგმვის და წარმართვის პროცესში. პორტფოლიოს დანიშნულებაა:

- ხელი შეუწყოს მასწავლებლებსა და მოსწავლეებს სწავლის მონიტორინგის დასტრუქტურებაში;
- უზრუნველყოს მასწავლებელი მშობლებისთვის მისაწოდებელი ინფორმაციით;
- იმ მასწავლებლების უზრუნველყოფა, რომლებიც პასუხისმგებლობას იღებენ მოსწავლის შემდგომ განათლებაზე;
- მოიცავს მოსწავლის ძლიერ მხარეებსაც და საჭიროებებსაც, მიღწეულ პროგრესსა და იმ არეებზე მითითებასაც, სადაც მოსწავლის განვითარება განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს.

პორტფოლიოს შემადგენლობაში შედის: ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, კონკრეტული პროგრამა- გზები და მეთოდები, სასწავლო განრიგი, რესურსის

ჩამონათვალი და აღწერილობა, მოსწავლის ნამუშევრების კრებული და თვალსაჩინო მასალა, მოსწავლის შეფასებები.

§ 1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელების ეტაპები

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შედგება ხუთი ეტაპისაგან:

პირველი ეტაპი- ინფორმაციის შეგროვება

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისათვის მნიშვნელოვანია მოსწავლის და მისი სასწავლო პროცესის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის შეგროვება, რათა გუნდის წევრებს შეექმნათ სრულფასოვანი სურათი მოსწავლის საგანმანათლებლო პროცესის შესახებ, მის საგანმანათლებლო საჭიროებებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე. ამისათვის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის კოორდინატორის ხელმძღვანელობით ხდება გუნდის წევრებს შორის შესაფასებელი სფეროების გადანაწილება, რომელსაც გუნდის ყველა წევრი თავისი კომპეტენციის ფარგლებში აფასებს, რის საფუძველზეც უნდა გამოიკვეთოს მოსწავლის ოპტიმაური სასწავლო მიზნები და სტრატეგიები. ინფორმააციის შეგროვება ხდება სხვადასხვა წყაროების, მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით. ისგ-ს გუნდი უფლებამოსილია მოითხოვოს და გაეცნოს მოსწავლის შესახებ არსებულ სამედიცინო დასკვნებს და სხვა წერილობით დოკუმენტებს. დააკვირდეს მოსწავლის სასწავლო აქტივობებში ჩართულობას, შეაფასოს მოსწავლის პიროვნული ფაქტორები სხვადასხვა სტანდარტული ინსტრუმენტების გამოყენებით.

მნიშვნელოვანია, გუნდის წევრებმა, საჭირო ყურადღება დაუთმონ იმ სასწავლო გარემოს ანალიზსაც, სადაც ჩართულია მოსწავლე. სწორედ გარემო მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მოსწავლის პიროვნულ ფაქტორებზე და სამომავლო წარმატებაზე.

მშობელების, მოსწავლეების, პედაგოგების, სკოლის პერსონალის და სხვა პროფესიონალთა კონსულტაცია წარმოადგენს მოსწავლეთა შესახებ ინფორმაციის შეგროვების მნიშვნელოვან პროცესს და უნდა ხორციელდებოდეს ისგ-ს შემუშავების და განხორციელების ყველა ეტაპზე.

მშობლებთან კონსულტაციით შეგვიძლია ინფორმაცია მოვიპოვოთ მოსწავლის პიროვნული ფაქტორების (მოლოდინები, ინტერესები) შესახებ. ამასთანავე, მშობელს უფლება აქვს თავად განსაზღვროს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პრიორიტეტული სფერო, რომლის გაუმჯობესებაც მშობლის ინტერესიდან გამომდინარე, პირველი უნდა განხორციელდეს.

მოსწავლესთან კონსულტაცია აუცილებელია. მოსწავლე თვითონ განსაზღვრავს თავის ინტერესებს და პრიორიტეტულ სფეროებს. ის მეტი პასუხისმგებლობით ჩაერთვება ამ მიზნის მიღწევის პროცესში და შედეგიც უფრო ეფექტიანი იქნება. ამიტომ, აუცილებელია ყველა მოსწავლე იღებდეს მონაწილეობას საკუთარი სასწავლო გეგმის შედგენასა და მიზნების დასახვის პროცესში. თუკი მოსწავლეს მისი

შესაძლებლობიდან გამომდინარე არ შეუძლია მიიღოს სრულფასოვანი მონაწილეობა საკუთარი გეგმის შემუშავებაში, აუცილებელია მისი სურვილები, ინტერესები და მიდრეკილებები მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში.

ამ ყველაფერთან ერთად მნიშვნელოვანია საგნის მასწავლებელთან კონსულტაცია. მათ მოსწავლეებთან განსხვავებულ სასწავლო გარემოში უწევთ ურთიერთობა, რის გამოც მასწავლებლები მოსწავლის პიროვნული ფაქტორების, ინტერესების, რესურსების შესახებ საგულისხმო ინფორმაციას ფლობენ, რაც მნიშვნელოვნად ავსებს პროფესიონალთა მიერ მოპოვებულ ცნობებს.

სხვა პროფესიონალთა კონსულტაცია. მათ შორის შეიძლება იყვნენ:

- ფსიქოლოგი,
- სპეციალური განათლების პედაგოგი,
- ექიმი,
- მეტყველების თერაპევტი,
- სოციალური მუშაკი,
- ოკუპაციური თერაპევტი და სხვა.

ზემოთ ჩამოთვლილ პროფესიონალებს გააჩნიათ მოსწავლის პიროვნული ფაქტორების შეფასების ობიექტური მეთოდოლოგია,რის შედეგადაც მნიშვნელოვანი რეკომენდაციის გაცემა შეუძლიათ მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართვასთან დაკავშირებით.

ინფორმაციის შეგროვება მოსწავლეზე დაკვირვების გზით, შესაძლებელია უზრუნველყოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის იმ გუნდის წევრებმა, რომლებიც ასწავლიან მოსწავლეს. პედაგოგებს შეუძლიათ მოსწავლეზე დაკვირვების და მოსწავლის ნამუშევრების ანალიზის შედეგად , ინფორმაციის მოპოვება მოსწავლის: წერის, თხრობის, ანგარიშის, ქცევის მახასიათებლებზე, ინფორმაციის ათვისების, გადამუშავების უნარზე, ყურადღებაზე, მეხსიერებაზე და ა.შ. მასწავლებელი აღწერს მოსწავლის ქცევას, როგორ რეაგირებს განსხვავებულ გარემოში სხვადასხვა გარემო პირობებზე, ხალხმრავალ გარემოში და ა.შ.

მოსწავლის სიღრმისეული შეფასება შეიძლება განახორციელოს სკოლის ფსიქოლოგმა ან სპეც. პედაგოგმა. დამატებითი შეფასების დროს აუცილებელია მულტიდისციპლინარული გუნდის მოწვევა, რომელიც მოსწავლის უნარების კომპეტენტურ შეფასებას მოახდენს.

ინფორმაციის დამუშავება და ჩაწერა

ინდივიდუალური სასწავლო გუნდის შეხვედრაზე ხდება მოსწავლის შესახებ მოპოვებული ინფორმაციის თავმოყრა და მოსწავლის შესაძლებლობების და საგანმანათლებლო საჭიროებებზე ერთიანი ხედვის ჩამოყალიბება. კოორდინატორი პასუხისმგებელია გუნდის წევრების მიერ მოპოვებული ინფორმაციის ერთიანი ჩანაწერის სახით გაერთიანებაზე. მნიშვნელოვანია მოპოვებული ინფორმაციის გაანალიზება და მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოყოფა. რაც ნათელს

ხდის, თუ რა სფეროები საჭიროებენ გაუმჯობესებას და რომელი რესურსები შეიძლება ამისთვის გამოვიყენოთ.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გუნდის წევრების მიერ მოპოვებული ინფორმაცია, აისახება ინდივიდუალური სასწავლო დოკუმენტის შესაბამის გრაფებში.

მეორე ეტაპი- მიმართულების განსაზღვრა

მოსწავლეების შესახებ ინფორმაციის შეგროვების შემდეგ, მნიშვნელოვანია განისაზღვროს ის პირები, რომლებიც ჩაერთვებიან მოსწავლის ინდივიდუალური გეგმის განხორციელების პროცესში. მოსწავლეებს სხვადასხვა პედაგოგებთან უწევთ ურთიერთობა, თუმცა ინდივიდუალური გეგმის განხორცილებაში მხოლოდ რამდენიმე მათგანი ერთვება. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მონაწილე პედაგოგები დასახული მიზნებიდან გამომდინარე განისაზღვრებიან. მნიშვნელოვანია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გუნდის წევრებს შორის როლების და პასუხისმგებლობების განაწილება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელების ყველა ეტაპზე ხდებოდეს.

სკოლის ადმინისტრაციის როლი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გუნდში

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განვითარების და მიმდინარეობის მონიტორინგი;
- მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის კოორდინატორის განსაზღვრა;
- საჭირო მხარდაჭერის უზრუნველყოფა სკოლის რესურსების გათვალისწინებით;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დოკუმენტებზე პასუხისმგებლობის აღება;

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის კოორდინატორის როლი გუნდში

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დოკუმენტაციის და მოსწავლის პორტფოლიოს წარმოება;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შეხვედრების ორგანიზება;
- მოსწავლის შეფასების პროცესში მონაწილეობის მიღება;
- თანამშრომლობის წახალისება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გუნდებს შორის;
- მოსწავლის კონკრეტულ მიზანზე მუშაობა;
- მონაწილეობის მიღება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიზნების და სტრატეგიების განსაზღვრაში;
- საჭირო მასალის მომზადება მოსწავლისთვის;
- დამატებითი მეცადინეობების ჩანიშვნა;
- რეგულარული კონსულტაციების გავლა მოსწავლის მშობელთან;
- საჭიროების შემთხვევაში, მულტიდისციპლინური გუნდის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შეხვედრებში ჩართულობის უზრუნველყოფა.

პედაგოგების როლი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გუნდში

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიზნების და სტრატეგიების განსაზღვრაში მონაწილეობის მიღება;
- მოსწავლის შეფასების პროცესში მონაწილეობის მიღება;
- საჭირო მასალის მომზადება;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის კონკრეტულ მიზანზე მუშაობა მოსწავლესთან;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედეგების დოკუმენტირება;
- დამატებითი მეცადინეობების განხორციელება;
- გუნდის სხვა წევრებთან თანამშრომლობა;
- გუნდის შეხვედრებზე მონაწილეობის მიღება.

სპეციალური პედაგოგის და სკოლის ფსიქოლოგის როლი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გუნდში

- პედაგოგების კონსულტირება სწავლების სტრატეგიების , კურიკულუმის მოდიფიკაციის თაობაზე;
- მოსწავლის აკადემიური უნარების შეფასების პროცესში მონაწილეობის მიღება;
- პედაგოგის კონსულტირება სასწავლო მასალასთან დაკავშირებით;
- სასწავლო მასალის მომზადება;
- დამატებითი მეცადინეობების განხორციელება;
- პედაგოგის მხარდაჭერა კლასში გაკვეთილის მსვლელობისას;
- გუნდის სხვა წევრებთან თანამშრომლობა;
- მშობლებთან რეგულარული კონსულტაციების განხორციელება;
- გუნდის შეხვედრებში მონაწილეობის მიღება;
- ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის დოკუმენტში საკუთარი ჩანაწერის გაკეთება.

მულტიდისციპლინური გუნდის როლი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გუნდში

- მოსწავლის შეფასება დარგის სფეციფიკიდან გამომდინარე;
- საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენასა და განხორციელების პროცესში მონაწილეობის მიღება;
- მასწავლებლის კონსულტირება დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე;
- ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ჩართულ ყველა პირთან აქტიური კომუნიკაცია;
- საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გუნდის შეხვედრებში მონაწილეობის მიღება (5. 57).

მესამე ეტაპი- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა მოიცავდეს მოსწავლისთვის ადეკვატურ, ფუნქციურ, და ასაკისთვის შესაბამის მიზნებს. პროგრამა, რომელიც ინდივიდუალურ გეგმაშია გაწერილი შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს საკლასო აქტივობებთან, რუტინასთან, ინსტრუქციების ტიპთან და პირიქით. ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა და საკლასო პროგრამა უნდა იყოს ურთიერთშეთანხმებული და მოსწავლეებზე მორგებული. პასუხისმგებლობის გადანაწილების შემდეგ, გუნდის წევრებს შორის, მნიშვნელოვანია მოსწავლის გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების დასახვა, სწავლების სტრატეგიების განსაზღვრა, სწავლების პროცესის დამატებითი საკითხების დაზუსტება, მაგალითად მოსწავლის სასწავლო განრიგი, საჭირო დამატებითი განრიგი, დამხმარე საშუალებები და სერვისები და მოსწავლის მიღწევების შეფასება.

გრძელვადიანი მიზანი

გრძელვადიანი ანუ წლიური მიზანი არის დებულება, რომელსაც ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე მომუშავე გუნდის წევრები შეთანხმებულად აყალიბებენ და რომლის მიღწევასაც სასწავლო წლის დასრულებისას მოელიან მოსწავლის საჭიროებების, მიღწევის დონის, ძლიერი მხარეების და არსებული რესურსების გათვალისწინებით. ეს მიზანი უნდა ასახავდეს რეალურ მოლოდინს და არა რიგიდულ მოთხოვნილებას. მიზნის ცვლილება შესაძლებელია, რამეთუ პედაგოგები მოსწავლეს უკეთ გაიცნობენ და ობიექტური წარმოდგენა შეექმნებათ მოსწავლის მიმართ, არსებულ რესურსებზე, სწავლის სტილზე და ტემპზე.

მოკლევადიანი მიზანი

თუ განვითარების აქტუალური დონე არის ის ათვლის წერტილი, საიდანაც მოსწავლე იწყებს მიზანზე მუშაობას, ხოლო გრძელვადიანი მიზანი საბოლოო შედეგი, რომელსაც უნდა მიაღწიოს, მათ შორის შეიძლება განისაზღვროს მიზნამდე მისასვლელი გზები, ანუ მოკლევადიანი მიზნები. მოკლევადიანი მიზნები წარმოადგენს საფეხურებს გრძელვადიანი მიზნებისკენ. მოკლევადიანი მიზნების მიღწევა აუცილებელია იმისთვის, რომ მოსწავლემ საბოლოო შედეგს მიაღწიოს. მოკლევადიანი მიზნები უფრო კონკრეტული და სპეციფიკურია, მათი მიღწევა შესაძლებელია ორ კვირაში, ერთ ან ორ თვეში. მსგავსი საფეხურები ეხმარება მოსწავლეს, ეტაპობრივად დააგროვოს ცოდნა და გამოცდილება, რომელიც დასახულ მიზნამდე მიიყვანს. მოკლევადიანი მიზანი მასწავლებელსაც უწევს დახმარებას, შეუძლია ეტაპობრივად შეაფასოს , რამდენად ახერხებს მოსწავლე მიზნის მიზნის მიღწევისთვის აუცილებელ ცოდნისა და გამოცდილების დაგროვებას.

მოკლევადიანი მიზანი უნდა იყოს ძალიან კონკრეტული და თვალსაჩინოდ ასახავდეს მოსწავლის მოსალოდნელ ქცევას, რომლის მიღწევაც ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის გუნდს აქვს დასახული. მიზანი უნდა იყოს დაკვირვებადი და გაზომვადი.

მიზნის მიღწევის გზები

მოსწავლის სასწავლო მიზნების განსაზღვრის შემდეგ, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გუნდი თანხმდება იმ სასწავლო სტრატეგიებზე, რომლის საშუალებითაც მოხდება მოსწავლის მიერ დასახული უნარების და ცოდნის ათვისების პროცესის უზრუნველყოფა. ამრიგად უნდა განისაზღვროს:

- სად ხორციელდება დასახულ მიზანზე მუშაობა: მიზანზე მუშაობა შეიძლება როგორც კლასში, ასევე რესურს ოთახში.
- ვინ მუშაობს დასახულ მიზანზე მოსწავლესთან ერთად: მიზანზე შეიძლება მუშაობდეს არა მხოლოდ ერთი ან რამდენიმე პედაგოგი, პედაგოგებს შეუძლიათ შეთანხმებულად იმუშაონ მოსწავლესთან მიზნის მისაღწევად.
- რომელი დამხმარე საშუალებები ესაჭიროება.
- სწავლების რა მეთოდი დ აქტივობები იქნება გამოყენებული: მნიშვნელოვანია მიზნის შესაბამისი აქტივობების შერჩევა, რომელთა ხშირი გამოყენება მიზნის მიღწევის საშუალებას წარმოადგენს.
- მატერიალური რესურსი: რა მასალა, თვალსაჩინოება იქნება საჭირო მიზნის შესაბამისი აქტივობების განხორციელების პროცესში.
- რა სახის დახმარებაა საჭირო იმისათვის რომ მოსწავლე მაქსიმალურად ჩარეთოს სასწავლო პროცესში.
- მოსწავლის ინტერესისთვის და მოტივაციისთვის სავარჯიშოების მიმართ, მნიშვნელოვანია მისთვის ჯილდოს შეთავაზება, რომელიც მისთვის ერთგვარ სტიმულს წარმოადგენს.

ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში აუცილებლად უნდა განისაზღვროს:

- მოსწავლის სასწავლო განრიგი;
- სასწავლო დატვირთვა;
- ინფორმაცია დამხმარე პირის შესახებ;
- სასწავლო გეგმის გუნდის შეხვედრის თარიღი;
- სასწავლო გეგმის გადაფასების თარიღი
- რა სისტემით მოხდება შეფასება.

მეოთხე ეტაპი- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელება

ინდივიდუალური გეგმის განხორციელების ამ ეტაპზე მასწავლებლები იწყებენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გუნდში გუნდურად მიღებული გადაწყვეტილებების ინდივიდუალურად განხორცილებას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პრაქტიკაში განხორცილება დინამიური პროცესია და არ გამორიცხავს გეგმაში გაწერილი სასწავლო მიზნების და სტრატეგიების ცვლილების შესაძლებლობას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პრაქტიკაში განხორცილება მასწავლებლის მხრიდან მუდმივ აქტივობას მოითხოვს, მოამზადოს მოსწავლისთვის სასწავლო მასალა და შეუსაბამოს ის საგაკვეთილო პროცესს.

აუცილებელია მუდმივად კონტროლდებოდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გუნდის მიერ შემუშავებული გეგმის განხორცილება, დასახული მიზნების მიღწევა და მოსწავლის მიზნის მიღწევების შეფასება. შეფასების სისტემის მიხედვით

ჩვეულებრივი მოსწავლეები ფასდებიან ათქულიანი შეფასებით, ასევე უნდა შეფასდეს განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვი, ოღონდ განსხვავებული უნდა იყოს მინიმალური ბარიერები, რომელიც უნდა გადალახოს მოსწავლემ ამა თუ იმ ქულის მისაღებად. შეფასება შეიძლება განხორციელდეს შემდეგი სისტემის მიხედვით:

სუსტი - ესაჭიროება ხშირი სიტყვიერი და ფიზიკური მითითება დავალების შესასრულებლად, დამოუკიდებლად ასრულებს დავალების მცირე დეტალს.

დამაკმაყოფილებელი - ესაჭიროება ინტენსიური სიტყვიერი მინიშნება და ზოგჯერ ფიზიკური დახმარება. დავალების უმეტეს ნაწილს თავად აკეთებს.

საშუალო - სჭირდება ზოგჯერ სიტყვიერი კონტროლი, ფიზიკური მინიშნება თითქმის აღარ ესაჭიროება.

მაღალი - შეუძლია დამოუკიდებლად დავალების შესრულება.

მიღწევის თვისობრივი მაჩვენებლები შესაძლებელია რაოდენობრივი შეფასების ათ ქულიან სისტემაში გადაყვანა:

ნიშნები	მიღწევის დონე
10	მაღალი
9	
8	
7	საშუალო
6	
5	საშუალოზე დაბალი
4	
3	სუსტი
2	
1	

მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო მიღწევების შეფასება ქულებით არ არის რეკომენდირებული და უფრო გამართლებულია მოსწავლის მიღწევების თვისობრივი დახასიათება. მიზანი მიღწეულად ითვლება თუ მოსწავლის მიერ დაგროვილი შეფასება მაღალია, თუ შედეგი დაბალია და უფრო უარესდება უნდა მოხდეს დასახული მიზნებისა და შემუშავებული პროგრამის გადახედვა. წარუმატებლობის მიზეზი შეიძლება იყოს:

- მიზნების შეუსაბამობა მოცემულ ეტაპზე;
- შემუშავებული პროგრამის შეუსაბამობა;
- მატერიალური, ადამიანური, თუ სხვა რესურსების ნაკლებობა;
- დროის სიმცირე.

მიმდინარე შეფასებამ შესაძლებელია გამოიწვიოს გეგმაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა. ყველა დაგეგმილი ცვლილება წინასწარ უნდა ეცნობოს მოსწავლის მშობელს და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გუნდს.
ცვლილება შესაძლებელია ითვალისწინებდეს:

- ახალი სასწავლო მიზნების დასახვას,
- დასახული მიზნების ქვემიზნებად დანაწევრებას,
- სწავლების სტრატეგიების, დახმარების საშუალების ცვლილებას.

მეხუთე ეტაპი- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გადახედვა (გადაფასება) და განახლება

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გადახედვის და განახლების პროცესი წარმოადგენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელების მნიშვნელოვან ეტაპს, რომელიც დაგეგმილი პროცედურაა და რომლის საშუალებითაც გუნდი ახდენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიმდინარეობის შეჯამებას. გუნდის წევრების ვალდებულებაა მოსწავლის მიღწევების ერთმანეთისთვის გაცნობა და განსაზღვრა, რამდენად ახლოს არის მოსწავლე ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზრვრულ შედეგთან და საჭიროებს თუ არა გეგმაში გარკვეული ცვლილებების შეტანა. (1. 38/60)

§ 2. სავარჯიშოები მოსწავლის აკადემიური და სოციალური უნარების განვითარებისათვის

- **სავარჯიშოები კითხვის უნარის გასაუმჯობესებლად**

ასოების ამოცნობის გავარჯიშება

- ✓ გავუმზადოთ მოსწავლეს ნიმუშის მაგვარი ცხრილი და დავავალოთ ერთმანეთის იდენტური გამოსახულებების პოვნა და ერთმანეთთან დაკავშირება;
- ✓ დავავალოთ ბავშვს ასოების გაფერადება, გაფერადებასთან ერთად ვთხოვოდ ასოების ხშირ-ხშირი გახმოვანება, იმ სიტყვების დასახელება , რომელიც აღნიშნულ ასოზე იწყება;
- ✓ წავახალისოთ მოსწავლე იპოვოს მსგავსი ასოები და ერთად დააფგუფოს. შესაძლებელია მოძრავი ანბანის გამოყენება. მივაწოდოთ მოსწავლეს ბარათი ასო ,, ი ” გამოსახულებით და რამდენიმე ბარათი განსხვავებული ასოებით (ა, ფ, ი, დ, ი, ტ, ი), დავავალოთ მოსწავლეებს ასო ,, ი“ პოვნა და მათი ერთად განლაგება;
- ✓ მოცემული ნიმუშის მსგავსი ცხრილების შესრულება, ერთი ასოს მეორე თავის მსგავს ასოსთან დაკავშირება.

სიტყვის შინაარსის გაგების გავარჯიშება

- ✓ გამოვიყენოთ ბარათები. მოსწავლეებს დავავალოთ მარტივი 1-2 მარცვლიანი სიტყვის წაკითხვა, სიტყვები დავწეროთ ბარათებზე, ასოების წაკითხვის შემდეგ, წავახალისოთ წაკითხული სიტყვის სრულად წარმოთქმა. მოსწავლეს, ამოკითხული სიტყვის შინაარსის წვდომა რომ გაუადვილდეს, მივაწოდოთ ბარათი შესაბამისი გამოსახულებით. რამდენიმე სიტყვების დამუშავების შემდეგ, მოსწავლეს მივცეთ რამდენიმე ბარათი და დავავალოთ მიუთითოს, იმ სიტყვას რომელიც ამოიკითხა.

  წასაკითხი სიტყვა მოსწავლის არსებული ლექსიკონით და სიტყვათა სირთულის გათვალისწინებით უნდა შევარჩიოთ. თავდაპირველად მარტივი ორ-სამ მარცვლიანი არსებითი სახელებით, ამის შემდეგ შესაძლებელია მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვების ჩართვაც შესაბამისი ბარათების გამოყენებით. სასურველია სიტყვები საკლასო თემის გათვალისწინებით შევარჩიოთ და წინასწარ მოვამზადოთ.

მიხვედრითი კითხვის შემთხვევაში

- ✓ მოსწავლეებს ვაძლევთ ბარათებს გამოსახულებებით, ბარათებს ქვეშ შესაბამისი სიტყვები უნდა ქონდეს მიწერილი. სიტყვები შეცდომით არის დაწერილი ბგერები გამოტოვებული, გამეორებული, ჩანაცვლებული ან გადანაცვლებული. მოსწავლემ ინსტრუქციის შესაბამისად უნდა იპოვოს შეცდომები და გაასწოროს;
- ✓ მოსწავლეს მივაწოდოთ ბარათი გამოსახულებით, მისი შესაბამისი სიტყვა დაწერილი იყოს რამდენიმე ასოს ან ბგერის გამოტოვებით. მოსწავლემ ყურადღებით უნდა წაიკითხოს მოცემული ასოები და ბარათის გამოსახულების გათვალისწინებით ჩაამატოს შესაბამის ადგილას გამოტოვებული ასოები;
- ✓ საინტერესო სავარჯიშოა, სიტყვების გადაბმით დაწერა, მოსწავლეს უნდა ამოიკითხოს სიტყვა და ხაზი გაავლოს იქ, სადაც სიტყვა მთავრდება და იწყება ახალი;
- ✓ მოსწავლის კითხვის უნარის განვითარების გათვალისწინებით, შესაძლებებლია სიტყვათა რიგი გამოსახულების გარეშე მივცეთ;
- ✓ შესაძლებელია მოსწავლეს სიტყვათ უაზრო რიგი მივცეთ წასაკითხად;
- ✓ ასოების უაზრო რიგში ჩავსვათ სიტყვები, მოსწავლეს მივაწოდოთ საპოვნელი სიტყვების ჩამონათვალი და დავავალოთ, ასოთა რიგში მოცემული სიტყვების მოძებნა და გახაზვა.

ბგერების სიტყვებად გაერთიანების გავარჯიშება

- ✓ დავავალოთ მოსწავლეებს მარტივი ერთ-ორ მარცვლიანი სიტყვის წაკითხვა, ასოს ამოკითხვის შემდეგ, თუ კი მოსწავლეს ბგერების სიტყვებად გაერთიანება გაუჭირდა , მივაწოდოთ მოსწავლეს ბარათი სიტყვის შესაბამისი გამოსახულებით;

- ✓ გავახმოვანოთ სიტყვა , მისი შემადგენელი ცალკეული ასო დავასახელოთ გაწელვით, ბგერებს შორის ინტერვალით, შესაძლებელია ტაშის დაკვრაც ყველა ბგერის წარმოთქმის შემდეგ. მოსწავლე უსმენს ბგერების წარმოთქმას და ასახელებს სიტყვას. ბგერებს შორის ინტერვალი და სიტყვაში ბგერების რაოდენობა მოსწავლის უნარის განვითარების შესაბამისად უნდა განისაზღვროს. მოგვიანებით, შესაძლებელია მოსწავლეს დავავალოთ სიტყვის შემადგენელი ბგერების მოსმენა და რამდენიმე ბარათს შორის არჩევანის გაკეთება.

წაკითხული შინაარსის გაგების გავარჯიშება

- ✓ გავაცნოთ მოსწავლეებს ტექსტის კონტექსტი კითხვის დაწყებამდე, შემდეგ ვკითხოთ რა იციან მოთხრობაში,ლექსში აღწერილი მოვლენების შესახებ.
- ✓ შევქმნათ მოსწავლისთვის ინდივიდუალური ლექსიკონი , ტექსტის კითხვისას ყველა უცხო სიტყვა ჩავწეროთ, რომელიც უცხოა მოსწავლეებისთვის. მოსწავლეებს ვთხოვოთ თითეულ მათგანს მიუწეროს ავახსნა-განმარტება ან მიუხატოს შესაბამისი გამოსახულება.
- ✓ მეტი დრო დავუთმოთ ტექსტის დამუშავებას.

კითხვის პროსოდიკის გავარჯიშება

- ✓ შევარჩიოთ კომიქსები სადაც, თითო სიუჟეტური ნახატი ერთი ან ორი წინადადებით არის აღწერილი, დავავალოთ მოსწავლეებს კომიქსების წაკითხვა.
- ✓ გამოვიყენოთ სახალისო და ემოციურად დატვირთული კომიქსები, წავახალისოთ მოსწავლე წაიკითხოს ტექსტი ნახატში ასახული ემოციური განწყობით.

- **სავარჯიშოები წერის უნარის გაუმჯობესებისთვის**

ფონემატური ანალიზის უნარის განვითარება

- ✓ ვუთხრათ მოსწავლეს სიტყვა და ვთხოვოთ დაუკრას იმდენჯერ ტაში, რამდენი მარცვალიც არის სიტყვაში, რამდენი ბგერაც ესმის, ასეთნაირად წინადადებაც და დაუკრას იმდენჯერ ტაში რამდენი სიტყვაც არის წინადადებაში.
- ✓ ვუთხრათ მოსწავლეს ერთი გრძელი და ერთი მოკლე სიტყვა, გაიმეოროს და თქვას რომელია გრძელი სიტყვა და რომელი მოკლე.
- ✓ მოსწავლეს მივცეთ ბარათი გამოსახულებით და მოძრავი ანბანის შესაბამისი ასოები არეული თანმიმდევრობით. მოსწავლემ უნდა შეადგინოს წინადადება სიუჟეტის გათვალისწინებით და დაალაგოს სიტყვები სწორი თანმიმდევრობით.

- ✓ ვუთხრათ მოსწავლეს რაიმე სიტყვა და მივაწოდოთ მოძრავი ანბანის რაიმდენიმე ასო. მოსწავლეებმა ვთხოვოთ მოგვაწოდონ ამ სიტყვაში შემავალი პირველი, მეორე, ბოლო ასო.
- ✓ მოსწავლის წინ დავდოთ ბარათი რაიმე ასოს გამოსახულებით, დაასახელონ სიტყვები, რომლებიც აღნიშნულ ასოზე იწყება, თუ მოსწავლეს სირთულე აღენიშნება სიტყვების გახსენებაზე, დავულაგოთ დამატებით სხვადასხვა გამოსახულებიანი ბარათები, რომელთა უმრავლესობა აღნიშნულ ასოზე იწყება. დავავალოთ ამ ბარათების გადალაგება და დასახელება, რომლებიც დავალებული ასოთი იწყება.
- ✓ გავუმზადოთ მოსწავლეებს მარტივი სიუჟეტური სურათი, სიუჟეტი ჩავწეროთ ერთი წინადადებით, მოსწავლეს წინადადებით შედგენილი სიტყვები მივაწოდოთ არეული თანმიმდევრობით. მოსწავლემ უნდა შეადგინოს წინადადება სიუჟეტის გათვალისწინებით დააწყოს სიტყვები სწორი თანმიმდევრობით.
- ✓ მოსწავლეს მივაწოდოთ მხოლოდ ცალკეული სიტყვები დაწერილი ცალკეულ ბარათებზე და დავავალოთ თვითონ შეადგინოს წინადადება.

წერის წინმსწრები უნარების განვითრება

- ✓ წერის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია წერის წინმსწრები უნარების განვითარება, საჭერი საშუალებების ხელში ჭერის უნარი, გაფერადება, მარტივი ნახატის შექმნა. წავახალისოთ მოსწავლე ხშირად დახატოს და გააფერადოს. გაფერადებისას უნდა დაიცვას და არ გადავიდეს კონტურებს. ვთხოვოთ თავად აღწეროს თავისი ნახატი, დავეხმაროთ გამოსახული ფიგურების სახელდებაში.
- ✓ წერის უნარის განვითრებისთვის მნიშვნელოვანია მოსწავლე დაეუფლოს წერის წინმსწრები მარტივი გეომეტრიული ფიგურების გამოსახვას, ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზების გავლებას, წრეწირის დახატვას, ოთხკუთხედის და სამკუთხედის გამოსახვას.
- ✓ დავავალოთ მოსწავლეს ქაღალდზე წყვეტილი ხაზის შეერთება, კონტურზე საწერი საშუალების გადატარება. გამოსახულება შევურჩიოთ მოსწავლის უნარის გათვალისწინებით.
- ✓ უნარის გავარჯიშების შემდეგ მოსწავლეს გავურთულოთ დავალება, ვთხოვოთ შეაერთოს ორი მოშორებული წერტილი სწორი ხაზით.
- ✓ წერტილების შეერთებით დავასწავლოთ მოსწავლეს სამკუთხედისა და ოთხკუთხედის ხატვა.
- ✓ მარტივი და გეომეტრიული ფიგურების გამოსახვის უნარის გავარჯიშების პარალელურად, მნიშვნელოვანია მოსწავლეს განუვითარდეს ორი გეომეტრიული გამოსახულების სინთეზით ახალი კონსტრუქციის შექმნის უნარი და ამ ფიგურების შეერთებით ახალი გამოსახულების მიღება.

- **სავარჯიშოები მეტყველების და თხრობის უნარის განვითარებისთვის**

- ✓ წავახალისოთ აზრის გადმოცემა, საკლასო თემის მოყოლა სიუჟეტური სურათის დახმარებით. მოკლე ნათელი წინადადებით გადმოვცეთ სიუჟეტი. სურათის აღწერისას ყურადღება გავამახვილოთ არსებით სახელებსა და მოქმედებებზე, ამის შემდეგ ბავშვი თავად ჩავრთოთ სურათის აღწერის პროცესში. მოსწავლე წავახალისოთ უპასუხოს კითხვებს: ვინ არის გამოსახული, რას აკეთებს, როგორია. მოგვიანებით, წავახალისოთ ბავშვი რომ დამოუკიდებლად აღწეროს იგივე სურათი.
- ✓ წავახალისოთ აზრის გადმოცემა, საკლასო თემის მოყოლა სერიული სიუჟეტური სურათის დახმარებით. გამოვიყენოთ 3-4 ბარათიანი სერიული სიუჟეტური სურათი. ცაკეული სურათი დაეხმარება მოსწავლეს განსაზღვროს რომელი იყო თავდაპირველი მოქმედება, შემდეგ რა მოხდა და ბოლოს რით დასრულდა ამბავი.

  წავახალისოთ აზრისა და ტექსტის გადმოცემა სიუჟეტური სურათის გარეშე. დავავლოთ მოსწავლეს ყურადღებით მოისმინოს ტექსტი და ზემოთ მოყვანილი სტრატეგიებით სცადოს აზრის გადმოცემა. დავუსვათ შეკითხვები, შესაძლებელია იყოს დახურული შეკითხვები.
- ✓ წავახალისოთ მოსწავლის არსებული სიტყვათა მარაგის გამდიდრება.
- ✓ წავახალისოთ მოსწავლე ლოგიკურ-გრამატიკული სტრუქტურების სწორად გამოყენებაში.
- ✓ წავახალისოთ მოსწავლე ახალი ცნებების ათვისებასა და კატეგორიების დასწავლაში.

თავი 4. აჭარის საჯარო სკოლებში ჩატარებული კვლევის შედეგები

კვლევაში მონაწილეობდნენ:

1. **სკოლის პერსონალი-** პედაგოგები, ფსიქოლოგები, სპეციალური მაწავლებლები
2. **სკოლის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეები.**

კვლევის დეტალური აღწერა: ანკეტირებით და ინტერვიუს მეთოდით გამოვიკითხე ქ. ბათუმის №15 საჯარო სკოლის 30 მასწავლებელი, ერთი ფსიქოლოგი, 2 სპეციალური მასწავლებელი, სულ 33 პიროვნება. ასევე კვლევაში მონაწილეობა მიიღეს შუახევის რაიონის სოფელ ბარათაულის საჯარო სკოლის 12 მასწავლებელმა, აქედან 2 სპეციალური მასწავლებელი. კვლევაში მონაწილეობა მიიღო №15 საჯარო სკოლის, შშმ მოსწავლის მშობელმაც, სხვა მშობლებმა კვლევაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს.

კვლევის შედეგები ასეთ სურათს იძლევა:

- სკოლის გამოკითხული პერსონალიდან ინკლუზიური განათლების მიმართულებით პროფესიული ზრდის სქემაში, ტრენინგებსა და სხვადასხვა საგანმანათლებლო კურსებში ჩართულია 20 მასწავლებელი, დანარჩენი 25 მასწავლებელს არ გაუვლია ინკლუზიური განათლების სპეციალური

კურსები, თუმცა მათი სურვილი დიდია რომ დაეუფლონ განსხვავებულ მოსწავლეებთან მუშაობის სტრატეგიებსა და მეთოდებს.



- 8 მასწავლებელს, 3 სპეციალურ მასწავლებელს და ფსიქოლოგს შეუძლიათ გონებრივი განვითარების დარღვევების მქონე მოსწავლეების იდენტიფიკაცია. 15 მასწავლებელს, მიუხედავად სპეციალური ტრენინგების გავლისა არ აქვს ზუსტი ინფორმაცია ამის შესახებ, 19 მასწავლებელი არ არის ამ საკითხში გარკვეული.



- 12 მასწავლებელი სწორად ასახელებს ვინ უნდა მონაწილეობდეს გონებრივი განვითარების დარღვევის მქონე მოსწავლეების დიაგნოსტირებაში. 20 მასწავლებელი ასახელებს მხოლოდ ექიმს ან მულტიდისციპლინურ გუნდს, დანარჩენმა 13 თავი შეიკავა პასუხის გაცემისაგან.
- გამოკითხულთაგან 35 მასწავლებელი მხოლოდ ზოგადად ასახელებს მოსწავლეებში გონებრივი განვითარების დარღვევების გამოვლინებებს. 4 სპეციალური მასწავლებელი და ერთი ფსიქოლოგი სწორად ფლობენ ინფორმაციას ამ საკითხთან დაკავშირებით. დანარჩენმა 5 მასწავლებელმა თავი შეიკავა პასუხის გაცემისაგან.



- გამოკითხული 34 მასწავლებელი ვერ ფლობს გონებრივი განვითარების დარღვევის მქონე მოსწავლეებთან მუშაობის კონკრეტულ სტრატეგიებსა და მეთოდებს, ისინი ძირითადად ასახელებენ თამაშით სწავლებას. ზუსტ ინფორმაციას ამ საკითხთან დაკავშირებით ფლობს 7 მასწავლებელი დანარჩენმა 4 მასწავლებელმა თავი შეიკავა პასუხის გაცემისაგან.



- 29 მასწავლებელი მიიჩნევს, რომ სკოლაში არის გონებრივი განვითარების დარღვევის მქონე მოსწავლეების ხელშემწყობი გარემო და შესაბამისი რესურსები, დანარჩენი 16 მასწავლებელი ამბობს რომ სკოლას არ გააჩნია შესაბამისი რესურსები და არ არის შესაბამისი გარემო შშმ და სსსმ მოსწავლეთა სწავლებისათვის.
- ყველა გამოკითხული აღნიშნავს რომ მშობელთა ჩართულობა გონებრივი განვითარების დარღვევის მქონე მოსწავლეთა განათლებაში ძალიან დაბალია და ყველა მასწავლებელი აღნიშნავს რომ მშობელთა ჩართულობა ძალიან მნიშვნელოვანია ყველა მოსწავლის სწავლება/სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად.
- გამოკითხულთა სურვილია ჩატარდეს მათთვის ტრენინგები ინკლუზიური განათლების მიმართულებით, რათა საჭიროების შემთხვევაში შეძლონ მოსწავლის ეფექტიანი ჩართვა საგაკვეთილო პროცესში და შესაბამისი სტარტეგიებისა და მეთოდების შერჩევა მათი განვითარებისათვის.
- ყველა გამოკითხული მასწავლებელი აღნიშნავს რომ შშმ და სსსმ მოსწავლეებს კარგი და მეგობრული ურთიერთობა აქვთ მათ თანატოლებთან.

კვლევის შედეგების ანალიზით დგინდება რომ , ინკლუზიური განათლების მიმართულებით პროფესიული ზრდის სქემაში ჩართულია პედაგოგთა ნაწილი, თუმცა სპეციალურ პედაგოგთა აქტიური ჩართვის მიუხედავად დღეისთვის გონებრივი განვითარების დარღვევის მქონე მოსწავლეების განათლების საკითხში შეიმჩნევა ცოდნის დაბალი დონე. მნიშვნელოვანი და აუცილებელია ამ მიმართულებით მუშაობის გაძლიერება, რაც გულისხმობს სკოლაში მომუშავე პერსონალის გადამზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას ინკლუზიური განათლების მიმართულებით.

გონებრივი განვითარების დარღვევის მქონე ბავშვთა სწავლება/სწავლის სტარტეგიების შესწავლისა და ეფექტურობის დასაბუთების მიზნით დავაკვირდით და ვიმუშავეთ ქ. ბათუმის №15 საჯარო სკოლის მოსწავლესთან (2021 წლის აპრილიდან მაისის ჩათვლით) კონფიდენციალობის დაცვის მიზნით მოსწავლის სახელსა და გვარს არ ვასახელებთ.

დაკვირვების ობიექტი იყო 8 წლის, აღენიშნება გონებრივი განვითარების დარღვევები, საშუალო ხარისხის გონებრივი ჩამორჩენილობა (IQ 35-49). გთავაზობთ, ჩვენი დაკვირვების შედეგად მოსწავლის ძლიერ და სუსტ მხარეებს:

ძლიერი მხარეები	კალამი უჭირავს სწორი სამთითა ჩაჭიდებით, შეუძლია რვეულში ნიმუშის მიხედვით მარტივი წინადადებების კოპირება, წერს სწორ ხაზზე, შეუძლია საკუთარი თავის შესახებ საუბარი, ითვლის, ცნობს და კარნახით ჩაწერს ციფრებს 10-მდე. განასხვავებს დიდსა და პატარას. აჩვენებს დასახელებულ გეომეტრიულ ფიგურებს: წრეს, ოთხკუთხედს, სამკუთხედს. შეუძლია დეტალის მიხედვით ნაცნობი საგნის ამოცნობა, სივრცეში ორიენტაცია, შეუძლია დაასახელოს რისი ხმა ესმის. მეტყველებს 2-3 სიტყვიანი წინადადებების გამოყენებით. შეუძლია თვითმომსახურება. მოსწავლეს უყვარს თანატოლებთან თამაში.
სუსტი მხარეები	წერის დროს უშვებს შეცდომებს, აკლებს ან ამატებს ასოებს. ვერ აკავშირებს ასოებს ბგერებთან , ვერ ამთლიანებს მათ მარცვლებად, ვერ ხვდება წაკითხული ტექსტის შინაარს. არ შეუძლია გაშლილი თხრობა. უჭირს პასუხების გაცემა მარტივ კითხვებზე წაკითხული ტექსტიდან გამომდინარე. არ შეუძლია მიმატება/გამოკლება, რადგან არ იცის მათემატიკური სიმბოლოები. ხშირად გაფანტულია, არ უსმენს მოსაუბრეს. არ შეუძლია ვრცელი ინფორმაციის დასახელება, უჭირს მოვლენების გახსენება. ვერ განარჩევს მსგავსი ჟღერადობის ბგერებს. ლექსიკური მარაგი მწირი აქვს, არ შეესაბამენა ასაკობრივი განვითარების ნორმას. არ შეუძლია ფულის ცნობა, საათის ცნობა. არ იცის დროის მონაკვეთები: გუშინ, დღეს, ხვალ.

მის ისგ-ის **გრძელვადიან მიზნებში** მითითებული იყო:

ქართულ ენასა და ლიტერატურაში:

- მოსწავლეს შეუძლია დიდი ზომის ილუსტრაციებზე წიგნებში ან ბარათებზე თითის დადებით აჩვენოს მითითებული საგანი და დაასახელოს.
- ასახელებს ილუსტრაციაზე საგნის მოქმედებას. მაგ: გოგონა ბურთს თამაშობს.
- ნაცნობ სიტყვაში ცნობს და წარმოთქვამს ასოებს.
- ასოებისგან აწყობს მარცვალს.

- კითხვისას წიგნი უჭირვს სწორად, სათანადო დისტანციაზე.
- დასმულ წერტილებს აერთებს ხაზით,
- პლასტელინის გამოყენებით სწავლობს სწორი, მრუდი, მრგვალი რკალის დამზადებას.
- შეუძლია გადაწერა წიგნიდან და დაფიდან. ორი ან სამი სიტყვით შემდგარი წინადადებების. კარნახით წერს ორ მარცვლიან სიტყვას.
- მოსწავლეს შეუძლია მოისმინოს და გადმოსცეს მარტივი ინფორმაცია მისთვის ნაცნობ თემაზე.
- მოსწავლეს შეუძლია ანბანის რამდენიმე ასო-ბგერის სწავლა.
- მოსწავლეს გამომუშავებული აქვს წიგნთან მუშაობის საწყისი ჩვევები.
- მოსწავლეს შეუძლია შესწავლილი ასობგერების გადმოწერა.

მათემატიკაში:

- მოსწავლეს შეუძლია ერთმანეთს შეუსაბამოს რიცხვები, რიცხვითი სახელები და რაოდენობები.
- მოსწავლეს შეუძლია რიგობითი რიცხვითი სახელების გამოყენება;
- მოსწავლეს შეუძლია განავრცოს, წარმოადგინოს და ერთმანეთს შეადაროს საგნის პერიოდული მიმდევრობები.
- მოსწავლეს შეუძლია ბრტყელი გეომეტრიული ფიგურების ამოცნობა და აღწერა.

რაც შეეხება მოკლევადიან მიზნებს

ქართული ენა და ლიტერატურა

- მოსწავლე სურათიანი ბარათების გამოყენებით გამოიცნობს სასკოლო ნივთებს და ასახელებს
- სურათის აღწერა სამი წინადადებით. რას შვრება გოგონა? მოსწავლე გამოიყენებს მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვებს. მოსწავლე ასახელებს ორ სიტყვიან წინადადებას. მაგ: მოსწავლე წერს.
- მოსწავლე თვალსაჩინო ხატების გამოყენებით ასახელებს გამოსახულ საგანს.
- მრავალჯერადი განმეორება ასო-ბგერების. მოსმენა, ხედვა, წარმოთქმა.
- სხვადასხვა ფიგურების აწყობა ჩხირების გამოყენებით.
- ცალკეული ასოს ათვისების პროცესში მოსწავლეს ეხმარება მასწავლებელი პლასტელინის საშუალებით გამოძერწოს ასო. შეხედოს და შემდეგ სწადოს კოპირება.
- წერს ერთ ან ორმარცვლიან სიტყვას.

მათემატიკა

- ცნობს,კითხულობს და ასახელებს რიცხვებს 10-მდე.
- ითვლის სხვადასხვა საგნების გამოყენებით 10-მდე.
- ახდენს შეკრება გამოკლებას ხუთის ფარგლებში, ჩხირების მეშვეობით ან თითების გამოყენებით.
- ამოიცნობს და აღწერს მითითებულ გეომეტრიულ ფიგურებს. ასახელებს მათ წვეროებს.

- სიტყვიერად მოცემული წესის მიხედვით, მიმდევრობით განალაგებს მხოლოდ ერთი ატრიბუტით განსხვავებულ საგნებს.

ქართულ ენასა და ლიტერატურაში მიზნის მისაღწევად ვიყენებდით შემდეგ სტრატეგიებს:

- ✓ მოსწავლეს მაგიდაზე დავულაგეთ ნაცნობ სხვადასხვა სახის ბარათებს და შესწავლილ ასო-ბგერებს. მოსწავლემ ამოიცნო ნახატი, რომელზეც გამოსახული იყო თხა და ჩვენი დახმარებით ააწყო სიტყვა- თ ხ ა.
- ✓ მოსწავლეს ვაჩვენეთ სურათიანი ბარათები, რომელზეც გამოსახული იყო სასკოლო ნივთები, ვსთხოვეთ ამოეცნო რასაც თავი წარმატებით გაართვა.
- ✓ პლასტელინის გამოყენებით, ჩვენი ორი მცდელობის შემდეგ მოსწავლემ დამოუკიდებლად შეძლო ასო-ბგერა ა და ი-ს კოპირება.
- ✓ მოსწავლეს ვაჩვენეთ სურათზე გამოსახული მოქმედება, და ვკითხეთ რას შვრება გოგონა? ის გვპასუხობს სწორად, გოგონა წერს.

მათემატიკაში მიზნის მისაღწევად ვიყენებდით შემდეგ სტრატეგიებს:

- ✓ შევადგინეთ რიცხვთა ცხრილი, მოსწავლეს ვკარნახობდით რიცხვს და ის რიცხვთა ცხრილში ხაზავდა შესაბამისს რიცხვს.
- ✓ მოსწავლეს ვაჩვენეთ ილუსტრაციები მათემატიკური ფიგურებით გამოსახული და ვსთხოვეთ ამოეცნო. მოსწავლემ ამოიცნო სამკუთხედი, ოთხკუთხედი და წრე, მაგრამ ვერ შეძლო ყველა ფიგურის ამოცნობა.
- ✓ მოსწავლემ დაალაგა ბურთები მიმდევრობით: (წითელი ბურთი, ლურჯი ბურთი, წითელი ბურთი, ლურჯი ბურთი... და ა.შ) ჩვენი ინსტრუქციის თანახმად.
- ✓ მოსწავლემ შეასრულა 10-ის ფარგლებში შეკრება გამოკლების ოპერაციები, ჩხირების და თითების დახმარებით.

მოსწავლესთან ვიმუშავე სპეციალურ მასწავლებელთან ერთად როგორც რესურს ოთახში, აგრეთვე ზოგადსაგანმანათლებლო კლასში მასწავლებელთან ერთად. მომეცა საშუალება გამეცნო ჩვენი დაკვირვების ქვეშ მყოფი მოსწავლის მშობელი და გავესაუბრე. მშობელი აცხადებს რომ აქტიურად არის ჩართული მოსწავლის საგანმანათლებლო პროცესში და თანამშრომლობს სკოლასთან, რაც დაადასტურა კლასის მასწავლებელმა. საბოლოოდ, მიუხედავად ბევრი სირთულისა მოსწავლის ირგვლივ იქმნება დადებითი გარემო, რაც აისახება მოსწავლის სწავლა-აღზრდის პროცესზე.

დასკვნები და რეკომენდაციები

დამუშავებული ლიტერატურული წყაროების და ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევების შედეგების ანალიზის საფუძველზე ჩამოვაყალიბეთ შემდეგი სახის დასკვნები და რეკომენდაციები:

- ბოლო წლებში საზოგადოების და სპეციალისტების ყურადღების ცენტრში მოექცა ინკლუზიური განათლება, რაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე

ბავშვების ზოგადსაგანმანთლებლო დაწესებულებებში ჩართვას და ჩვეულებრივი განვითარების ბავშვებთან ერთად სწავლას გულისხმობს. თავდაპირველად მთავარი ყურადღება გადატანილი იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებზე, ისინი მრავალი წლის მანძილზე განცალკევებული იყვნენ თანატოლებისაგან.

- თანამედროვე მასწავლებელი მზად უნდა იყოს გონებრივი განვითარების დარღვევის მქონე მოსწავლეებთან მუშაობისთვის. ის უნდა იცნობდეს და პრაქტიკაში იყენებდეს სწავლების მრავალფეროვან მეთოდებს. მან უნდა შეძლოს სტრატეგიების სწორად შერჩევა, ბავშვის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე მორგება და მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში აქტიური მონაწილეობის მიღება და განხორციელება.

- მნიშვნელოვანია, რომ გონებრივი განვითარების დარღვევის მქონე მოსწავლესთან ურთიერთობისას სასწავლო აქტივობა, რაც უფრო მორგებულია მოსწავლის შესაძლებლობებს, მით უფრო წარმატებული და მოტივირებულია მოსწავლე. რაც თავის მხრივ გამორიცხავს მოსწავლის მხრიდან საკმაოდ არასასურველ ქმედებებს, ქცევის წესების დარღვევას, დავალებისთვის თავის არიდებას.

- აუცილებელია მოსწავლისათვის შეირჩეს ეფექტური წახალისების სისტემა, რომ ის ყოველთვის მოტივირებული იყოს მიზნის მიღწევისთვის, რადგან ის საკმაოდ ბევრ ენერგიას ხარჯავსმუშაობის პროცესში. თუ მასწავლებელი სხვა სპეციალისტებთან ერთად შეძლებს ეფექტური წახალისების სისტემის შემუშავებას ეს გაზრდის მოსწავლის მოტივაციას, შრომის უნარიანობას და საბოლოოდ მიიღწევა ყველა ის მიზანი, რაც დასახული იყო მასწავლებლის მიერ.

- თანამედროვე მასწავლებელს ესაჭიროება სპეციალური განათლება შშმ მოსწავლეებთან ურთიერთობისათვის.

რასაკვირველია, ჩვენს მიერ დასახელებული დასკვნები და რეკომენდაციები სსსმ მოსწავლეებთან მომუშავე პედაგოგების მიერ სერიოზულ გააზრებასა და შემოქმედებითად გამოყენებას საჭიროებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბაგრატიონი მ., ლაღიძე ა., პაჭკორია თ., (2009). ინკლუზიური განათლება - გზამკლევი მასწავლებლებისათვის.
2. ბაგრატიონი მ., ზაქარეიშვილი მ., ფილაური ქ. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა- გზამკლევი მასწავლებლისთვის. თბილისი (2014).
3. ბარქაია ც. ინკლუზიური ადრეული განათლება. გაეროს ბავშვთა ფონდი. (2019).
4. გაგოშიძე თ. (2007). ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევები. თბილისი, ,, ნეკერი ";

5. გაგოშიძე თ., ჭინჭარაული თ., ბაგრატიონი მ., ფილაური ქ. (2008). ინკლუზიური განათლების პრინციპები. თბილისი, ,, ნეკერი ";
6. გაგოშიძე თ. პრაქტიკული მუშაობა ბავშვებთან. წიგნი II. ,,თბილისი " (2007). ;
7. გოგიჩაძე ნ., მეთარიშვილი ნ., ბისეიშვილი გ. ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმა. (2009). გამომცემლობა ,, ნეკერი ". ;
8. იაშვილი ქ., კბილცეცხლაშვილი თ., პაჭკორია თ., ინკლუზიური განათლება. მოსწავლე, ოჯახი, სკოლა.
9. პაჭკორია თ. ვისწავლოთ ერთად- ინკლუზური განათლება. ,, თბილისი " (2007).;
10. ხუხუა გ. ინკლუზიური განათლება. ,, თბილისი" (2014). ;

ვებ-გვერდები

https://dendroni.ge/statiebi/article/6210-gonebrivi-chamorcheniloba

http://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/59116-%E1%83%A0%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90%E1%83%97%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%95-%E1%83%A9%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A1/111/

http://archive.webmix.ge/icc/mentret.html#N9